ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
5 აპრილი **პარასკევი** 2013
№079 (13 995) ფასი 80 თეთრი




# ფეხბურთის ფედერაცია: კობიაშვილს და იაშვილს ნოემბერში გავაცილებთ



ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი

# ლეო მესი ტრავმაგამძლე...




# უშანსოდ არავინ დარჩა



ჩელსი-რუბინი 3:1

# მეოთხედ

## ქართველი ევროლიგის მეოთხედფინალში


ვიქტორ სანიკიძე

## სანიკიძემ ცინცაძეს მიბაძა და ევროპა ბასკეთში დაასრულა

ევროლიგაზე ტოპ-16-ის ბოლო ტურის მატჩები გაიმართა. **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკიმ“ ესპანეთში „კახა ლაბორალთან“ 64:76 დათმო, ხოლო **გიორგი შერმადინის** „ოლიმპიაკოსმა“ რუსული „ხიმკი“ პირეოსში 79:70 დაამარცხა.

ამ შედეგებმა მეოთხედფინალის საგზური (F ჯგუფიდან) „ოლიმპიაკოსს“, „ბარსელონას“, „მაქაბისა“ და „კახა ლაბორალს“ უბოძა. სანიკიძემ კი, ისევე როგორც მისმა მეგობარმა **გიორგი ცინცაძემ** ევროტურნირებზე წლევანდელი გამოსვლა ბასკეთში დაასრულა.

ვიქტორმა „ლაბორალთან“ 19 წუთში 7 ქულა (2-დან 2 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი), 3 მოხსნა და თითო ჩაჭრა-დაფარება მიითვალა. რაც შეეხება შერმადინს, იგი გუშინ განაცხადში იყო, მაგრამ არ უთამაშია.

აქვე შეგახსენებთ, რომ ევროლიგის პლეი ოფში ქართული გვარი მეოთხედ გამოჩნდება: პირველად 2003 წელს **მანუჩარ მარკოიშვილმა** იტალიური „ბენეტონის“ ღირსება დაიცვა; მეორედ 2009 წელს შერმადინმა „ოლიმპიაკოსთან“ ერთად შეჯიბრება მოიგო; მან მომდევნო სეზონშიც პლეი ოფში ითამაშა; წლეულს კი „ოლიმპიაკოსთან“ ერთად მოუწევს მეოთხედფინალში ბრძოლა. 1997 წელს **ვლადიმერ სტეფანიამაც** ითამაშა ნახევარფინალში, მაგრამ მაშინ ამ შეჯიბრებას ჩემპიონთა ლიგა ერქვა და სხვა ფორმატით მიმდინარეობდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ნაკრების მონატრებული მოგება

## ქალებმა შესარჩევი ტურნირი ლიტველებთან გამარჯვებით დაიწყეს

4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ზურაბ პეტრიაშვილთან

# ქეცბაია საბერძნეთის შემდეგ უნდა გადამდგარიყო

**რედაქციაში ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის პრეზიდენტი ზურაბ პეტრიაშვილი დაგვიკავშირდა და ეროვნული ნაკრების მწვრთნელის, თემურ ქეცბაიას შესახებ მოსაზრება დააფიქსირა:**

- დიდხანს ვიკავებდი თავს, ვფიქრობდი, თემურ ქეცბაიას ვინმე მაინც ეტყოდა, საზოგადოებაში ასე არ იქცევიანო, მაგრამ საფრანგეთთან თამაშის შემდეგ პრესკონფერენციაზე მომხდარმა დამარწმუნა, რომ ის ჩვეულ სტილში აგრძელებს ყველას დაცინვა-დამცირებას. ასეთი იყო მისი გამოსვლები "ქორთიარდში", როდესაც ვეტერანებს "გაუსწორდა"; ჟურნალისტებთან წინა შესარჩევი ციკლის შემაჯამებელ ტელეპრესკონფერენციაზე; გადაცემა "105 წუთში", სადაც "ქომაგთა ლიგას" "გადაგვიარა".

სავარაუდოდ, დამქირავებელთან საუბრის გარდა, მისი სტილი ყვირილია. გვიყვიროდა ვეტერანებს, სად იყავით, როცა სტადიონები იკარგებოდა და ქართულ ფეხბურთს ანგრევდნენო. საზოგადოებამ კი იცის, სადაც ვიყავით "ქომაგთა ლიგა", სპორტული ჟურნალისტები, აქტიური ვეტერანები. თავად სად იყო და ხმას რატომ არ იმაღლებდა? ეს იმ დროს, როდესაც უცხოეთში მოღვაწე ქართველის ნათქვამი უფრო წონიანია, ვიდრე შინ მოღვაწისა. ინებეთ ფაქტი: ის ეროვნულის მწვრთნელია, ჩივაძე კი - მხოლოდ ახალგაზრდულის.

**- ჩივაძეს საქართველოში დაფასება არ აკლია.**

- აქ სხვა რამეზეა ლაპარაკი. ეტყობა, ნაკრებში დასაქმებამდე ქეცბაიამ არ იცოდა, საქართველოში რა ხდებოდა. საყვედურობდა, სტადიონები დაიკარგა, უამრავი ფული დაიხარჯა და ქართული ფეხბურთის ხარჯზე ბევრმა მოითბო ხელიო, მაგრამ ამ ყველაფრის წინააღმდეგ ჩვენ არ ვიბრძოდით?

"ქომაგთა ლიგამ" ყველაფერი გააკეთა, რათა კლაუს ტოპმიოლერსა და მის გუნდს მილიონიანი კონტრაქტები არ გაგრძელებოდათ; სფფ-სთან გამართულ მასშტაბურ მიტინგზე გავაპროტესტეთ სტადიონების გასხვისება, ტრადიციული ქალაქების უფეხბურთოდ დატოვება და ა.შ. ორგანიზაციებმა "ჩვენი ფეხბურთი", "გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს", "ქომაგთა ლიგამ", ვეტერან ფეხბურთელთა კავშირმა, რამდენიმე სპორტულ ჟურნალისტთან ერთად, 2008 წლის აპრილში თბილისის ჭადრაკის სასახლეში დიდ საფეხბურთო ყრილობაზე მოვითხოვეთ ჩვენი ფეხბურთის ნგრევის დასრულება, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები და არალეგიტიმური, „ნაცმოძრაობის" მიერ ძალადობრივი გზით დანიშნული ნოდარ ახალკაცი-უმცროსი გადადგომა. ამ ბრძოლას სასურველი შედეგი იმიტომ არ მოჰყვა, რომ „ნაციონალური მოძრაობა" თავისსას ძალადობით აკანონებდა.

ასე ვიბრძოდით ქეცბაიას მიერ სხვადასხვა დროს გალანძღული ხალხი, თავად კი იმ პერიოდში კარიერით იყო დაინტერესებული და სამშობლოსაკენ მხოლოდ მაშინ გამოიხედა, როდესაც "ნაციონალების" მორიგმა ფავორიტმა ზვიად სიჭინავამ საქართველოს ნაკრებში ძვირად ღირებული კონტრაქტი შესთავაზა.

**- ქეცბაიას ჩამოყვანა მაშინ გულშემატკივრებსაც სურდათ და ეს მცირე სახსრებით ვერ მოხერხდებოდა. კონკრეტულად რას ედავებით?**

- საზოგადოებაში ნაკრების მწვრთნელს სხვაგვარი მოქცევა ევალება. ჩათვალა, რომ არავინ არაფერი იცოდა და შეეძლო, ყველასათვის პატარა ბავშვებივით ეყვირა და ჭკუა ესწავლებინა. მისმა ქედმაღლობამ გილბერტ კიტ ჩესტერტონის სიტყვები გამახსენა - *"ადამიანი იერარქიაში რაც უფრო მაღლა ადის, მით უფრო პატარავდებიან ქვემოთ მყოფნი, ჭიანჭველებს ემსგავსებიან და მათი გასრესაც ჭიანჭველასავით შეიძლება".*

ასე ზემოდან გვიყურებს ჩვენ, ვინც ავტობუსით დავდივართ, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. დაუკვირდით მის ძველბიჭურ ლექსიკას, ან ეს "ტო"-ს ხმარება რა უბედურებაა. ქართულ ფეხბურთში ყველა უვიცი და უსაქმური ყოფილა და თურმე, ქართული ფეხბურთისთვის სანთლივით მხოლოდ ის და ბატონი სიჭინავა იწვიან.

ამპარტავნობა და ქედმაღლობა ვახსენე. "ოლიმპიაკოსიდან" ორიოდე თვეში ამიტომ წამოვიდა და ამის გამო აქვს ნაკრების ფეხბურთელებთან დაძაბული ურთიერთობა.

საქართველოში თუ არაფერი ვიცით, უცხოელებისგან მაინც ისწავლოს. არგენტინის მწვრთნელობისას მარადონა ფეხბურთელებს ეფერებოდა, მასკერანოს მასზე ნაკლებ ტექნიკას კი არ საყვედურობდა, აქებდა და მაქსიმალური შედეგისათვის განაწყობდა. ქეცბაიამ კი, წინა შესარჩევ ციკლში არაერთი გადამწყვეტი გოლის გამტანი თავდამსხმელი სირაძე სათადარიგო სკამზე დასვა და ქილიკობდა, რა ბედი აქვს, სულ იტანსო. მას, კახი კალაძესა და ლევან კობიაშვილს როგორ მოექცა, როდესაც მისგან და ფეხბურთის ფედერაციისაგან პატივით გაცილებას იმსახურებდნენ.

**- ქეცბაიამ გამოაცხადა, რომ კობიაშვილის გაცილების მატჩს ნოემბერში გეგმავდა.**

- მერე, ეს კობიაშვილმა არ იცოდა?! ვეტერან ფეხბურთელებს და მათ ამაგს ჩემი წარდგენა არ სჭირდებათ. სერიოზული პასუხის ღირსადაც არ მიიჩნევს სპორტულ ჟურნალისტებს, რომლებიც ეროვნულ ჩემპიონატს სახეს უნარჩუნებენ – ამ ტურნირის არსებობას ხალხი სწორედ მედიის წყალობით იგებს. ესეც არაფერი ყოფილა.

ახლა" "ქომაგთა ლიგაზეც" ვიტყვი, რომლის წარმომადგენლებიც "ნაფტალინიდან ამოღებულებად" მოგვნათლა. ორგანიზაცია სფფ-ს დამოუკიდებლობის ინიციატორებმა დავაფუძნეთ და მასში ბევრი ცნობილი პიროვნება გაერთიანდა, მათ შორის, "გურიასა" და "დინამოს" ვეტერანები. ყველაფერი გავაკეთეთ, საქართველო მსოფლიოს



ზურაბ პეტრიაშვილი

პოლიტიკურ და საფეხბურთო რუკაზე რომ გაჩენილიყო, ეროვნული ნაკრები გვყოლოდა, საკუთარი ჩემპიონატი ჩაგვეტარებინა, იმავე ქეცბაიას "ნიუკასლში" რომ ეთამაშა... ახლა ვიბრძვით, ჩვენი ფეხბურთი სწორად რომ განვითარდეს, სახსრები გონივრულად დაიხარჯოს, ნიჭიერი ბავშვები სწორ გზას დავაყენოთ და დიდ წარმატებას მივაღწიოთ.

**- ქეცბაიას ემოციურობა ზოგჯერ მართლაც გამაღიზიანებელია, მაგრამ მის დამსახურებას და სანაკრებო წარსულს ხაზს ნუ გადაუსვამთ.**

- როგორ გეკადრებათ! ქეცბაია ჩვენი დამოუკიდებლობის პერიოდის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფეხბურთელია და მისი გულიანი თამაში ყოველთვის მახარებდა. მაგრამ ახლა მის მწვრთნელობასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სტილზე ვლაპარაკობ, რომელსაც შედეგით აფასებენ. წინა ციკლში ერთ-ერთ ყველაზე სუსტ ჯგუფში, საქართველომ ბოლოსწინა ადგილი დაიკავა. გაგვასწრეს ბერძნებმა, ხორვატებმა და ებრაელებმა და ლატვიელებმაც კი, ხოლო ბოლო ადგილზე გასულმა მალტამ ერთადერთი ქულა ჩვენთან მოიპოვა. შესარჩევი ტურნირის ბოლო შეხვედრა თბილისში საბერძნეთთან განსაკუთრებული მსჯელობის საგანი უნდა გამხდარიყო.

გამარჯვებით საბერძნეთი პირველ ადგილზე გადიოდა, ჩვენ კი ლატვიას გავასწრებდით და რეიტინგს გავიუმჯობესებდით. ბერძნებს მეტი მოტივაცია ჰქონდათ. არ ვუსმენ, რას ამბობდნენ ამ მატჩზე ბოროტი ენები, მხოლოდ ის ვიცი, მეორე ტაიმში, ბერძნები რომ დაწინაურდნენ, ქეცბაიას სამივე ცვლილება გამოყენებული ჰქონდა, ტრავმირებული თარგამაძე ველარ შეცვალა, შეხვედრა 10 კაცით დავასრულეთ და ანგარიშის გათანაბრების შანსიც წაგვერთვა.

მართალია, საფრანგეთთან წაგების გამო არ უნდა გადადგეს. მაგრამ ეს საბერძნეთთან დაშვებული შეცდომების გამო უნდა გაეკეთებინა. საჩოთირო მაინც არის, ორი შესარჩევი ციკლი ნაკრებს შედეგის გარეშე ხელმძღვანელობდე და მილიონებს იღებდე ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ღარიბია. ნაკრების ქართველ მწვრთნელებს ხომ ორი ათას ლარზე მეტი ხელფასი არ ჰქონიათ. მათ შორის ალექსანდრე ჩივაძეს, რომლის დროსაც შესარჩევ ჯგუფში საუკეთესო შედეგს, მესამე ადგილს მივაღწიეთ.

**- კარგი კონტრაქტი შესთავაზეს და უარს ხომ არ იტყოდა? მეორეც არის - სულ მეშინია, ასეთი სიტყვების შემდეგ ქეცაბაიამ ფეხი არ დაკრას და არ დავკარგოთ.**

- ეს არავის გვსურს! მაგრამ მის ადგილზე, ზომიერ ხელფასს დავჯერდებოდი, დაზოგილი ფულით კი ბავშვთა ფეხბურთის პრობლემებს ნაწილობრივ მოგვარება და ნიჭიერი ბავშვებისათვის "ინტერნატის" ტიპის საფეხბურთო ცენტრების აშენებაა შესაძლებელი.

თემური 1968 წელს დაიბადა, როდესაც 18 წლის ბიჭი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ვიყავი. უფროს ძმასავით ვურჩევ: კვიპროსის ფეხბურთს იქაურები მიხედავენ, მან კი საფეხბურთო სკოლა საქართველოში გახსნას და ჩვენი ფეხბურთის წარმატებაში შეიტანოს წვლილი.

**მერაბ მამულაშვილი**

ოპტიმალური გამოსავალი

# კობიაშვილს და იაშვილს ნოემბერში გავაცილებთ



ლევან კობიაშვილი

ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური განცხადება

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გამოხატავს გულწრფელ მადლიერებას ყველა იმ ფეხბურთელის მიმართ, ვინც წლების მანძილზე ერთგულად იცავდა ეროვნული ნაკრების ღირსებას და სიამაყით ატარებდა ნაკრების ფორმას.**

**ჩვენმა ფეხბურთელებმა ქართველ გულშემატკივარს არაერთი დასამახსოვრებელი წუთი აჩუქეს. მათ ბევრი რამ გააკეთეს ეროვნული ნაკრებისათვის. სწორედ, ამიტომ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, 2013 წლის ნოემბერში, როცა ეროვნული ნაკრები საშინაო ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს, მოეწყობა იმ ფეხბურთელების ოფიციალური, საზეიმო გაცილება, რომლებმაც მიმდინარე სეზონში საკუთარი სურვილით განაცხადეს ხანგრძლივი სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ.**

**საზოგადოებას და გულშემატკივარს მიეცემა საშუალება, კიდევ ერთხელ იხილონ გამორჩეული ფეხბურთელები ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში და ყველამ ერთად, მადლობითა და მხურვალე ოვაციით გავაცილოთ ისინი ქვეყნის უპირველესი გუნდიდან.**

**ვიმედოვნებთ, რომ ეს დღე ყველასათვის დაუვიწყარი იქნება.**

სფფ-ის პრესსამსახური

ვფიქრობთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ეს განცხადება ბოლო დღეების ერთ-ერთ ყველაზე აქტუალური საფეხბურთო თემის ლოგიკური გაგრძელება და პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზაა.

შეგახსენებთ, სოციალურ ქსელ "ფეისბუკის" მეშვეობით ჯერ **ლევან კობიაშვილმა**, შემდეგ კი **ალექსანდრე იაშვილმა** სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ განაცხადეს და გულისტკივილი გამოთქვეს იმის გამო, რომ გულშემატკივრებთან დამშვიდობების საშუალება არ ეძლეოდათ.

ვერ გეტყვით, ჰქონდა თუ არა ჩაფიქრებული სფფ-სა და ნაკრების თავკაცს **თემურ ქეცბაიას** მათი გაცილება, მაგრამ ახლა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ უნდა ჰქონდეს. მთავარია, რომ ნოემბერში კობიაშვილს, იაშვილს და შესაძლოა, კიდევ რომელიმე ვეტერანს ქართველი გულშემატკივარი თბილისში უკანასკნელად იხილავს ნაკრების მაისურით და ეროვნული გუნდისთვის გაწეული სამსახურის გამო ისინი კუთვნილ მადლობასა და აპლოდისმენტებს მიიღებენ.

დაგვეთანხმებით, ეს მეტად იოლად განსახორციელებელი საქმეა და უმჯობესი იქნებოდა, საქვეყნოდ გავრცელებული ეს წესი საქართველოში უფრო ადრე დანერგილიყო. თუმცა სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს და იმედია, დამსახურებული ვეტერანების გაცილება ქართული საფეხბურთო კულტურის განუყოფელ ნაწილად იქცევა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ალექსანდრე იაშვილი

სიონი

აქტუალური თემა

# ლადო ბურდული: გვინდა ხუთგუნდიანი ჩემპიონატი?

ბოლნისის „სიონი" იმ კლუბების რიცხვს მიეკუთვნება, ადგილობრივი ბიუჯეტიდან რომ ფინანსდებიან. „სიონი" მეტწილად ასეთი ფორმით არსებობდა - ნაწილი დაფინანსება გამგეობიდან მისდიოდა, ნაწილსაც სპონსორისგან იღებდა. „სიონის" გენერალური დირექტორი ლადო ბურდული გახლავთ, თბილისის „დინამოსა" და ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი. ქართული საკლუბო ფეხბურთის განვითარების პოლემიკაში ისიც ჩავაბით და რამდენიმე კითხვა დავუსვით.


ლადო ბურდული

**- ალბათ იცით, რომ გორის „დილას" მენეჯერმა გია ისიანმა პროექტი წარმოადგინა, რაც საბიუჯეტო კლუბების და ზოგადად ჩვენი საკლუბო ფეხბურთის განვითარების მიმართულებებს მოიცავს. როგორია „სიონის" პოზიცია?**

- ისიანის პროექტი ურიგო ნამდვილად არ არის, ოღონდ რთულად შესასრულებელია. კარგი იქნება, თუ სახელმწიფო დათანხმდება ასეთ პროექტის განხორციელებას და სამწლიანი გარანტირებული დაფინანსება ექნებათ საბიუჯეტო კლუბებს.

**- არის ისეთი აზრიც, რომ საბიუჯეტო კლუბები აღარ უნდა არსებობდნენ...**

- ასეთ შემთხვევაში ხუთგუნდიანი ჩემპიონატი გვექნება, რაც მგონი, არავის ინტერესებში არ უნდა იყოს. ვფიქრობ, მომავალ სეზონშიც უნდა იყვნენ საბიუჯეტო კლუბები.

**- ლაპარაკია თანაბრობაზე...**

- კი ბატონო, თუ ყველა საბიუჯეტო კლუბს ორ-ორ მილიონი ლარი ექნება სეზონზე, ამის წინააღმდეგი ვინ უნდა იყოს?!

**- გასაგებია, მაგრამ კერძო კლუბების ინტერესებიც ხომ გასათვალისწინებელია. რატომ არ შეიძლება, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა ჩემპიონატის ყველა კლუბზე თანაბრად განაწილდეს?**

- ეს იდეალური ვარიანტი იქნება, კერძო კლუბებს იმის საშუალება გაუჩნდებათ, რომ სახელმწიფოსგან მიღებულ ფულს საკუთარი სახსრებიც მიუმატოს. ამით ქართული კლუბები სტაბილურობას შეიძენენ, აღარ იქნება იმის საფრთხე, ჩაამთავრებს თუ არა რომელიმე გუნდი სეზონს და აღარ იქნებიან 300-500 ლარიანი ფეხბურთელები უმაღლეს ლიგაში. თუ ასეთი სქემის განხორციელება მოხერხდება, ეს ნაბიჯი იქნება ქართული ფეხბურთის განვითარებისკენ. საბიუჯეტო კლუბების გაუქმებას კი არ ვეთანხმები.

**- კლუბების ერთიანი, კონსოლიდირებული პოზიცია ჯერ რატომ არ იკვეთება ამ საკითხზე?**

- თორმეტთა საბჭო კარგი მიგნებაა, ყოველ ორშაბათს ვიკრიბებით კლუბები და მიდის პოზიციათა გაზიარება. ბევრს საკითხზე ვთანხმდებით და კარგი იქნება, თუ ამ ყველაფერს კლუბის მესვეურები თავიანთ გუნდშიც გადაიტანენ, იგივე მსაჯობის საკითხი... თუ ყველა შევთანხმდებით ერთიან პოზიციაზე, ამით კლუბები ბევრს მოიგებენ

**- ზოგი კლუბი ურიგდება მსაჯებს - როგორ ფიქრობთ, არის ამის თქმის სერიოზული საფუძველი?**

- კონკრეტულ ფაქტებს ვერ მოვიყვან, მაგრამ ბევრ კლუბს აქვს პრეტენზია მსაჯების მიმართ და ეს უნდა დასრულდეს.

**- რომ არ მოხდეს კლუბების დაფინანსების პროექტის შემუშავება და განხორციელება, რა ელის „სიონს" დამდეგ სეზონში?**

- ბოლნისის გამგებელს უყვარს ფეხბურთი, ლევან ფალავანდიშვილი ყველანაირად გვერდში უდგას „სიონს" და მან გვითხრა, რომ მომავალი სეზონისთვის „სიონის" ბიუჯეტი გაიზრდება. რა თქმა უნდა, გუნდს საამისო შედეგიც მოეთხოვება. ალბათ იცით, რომ ბოლო პერიოდში მაღალი ხარისხის მოედანი დაიგო ფოთსა და ლანჩხუთში, ეს სახელმწიფომ გააკეთა ფეხბურთის ფედერაციის შუამდგომლობით და ამ პროგრამაში ბოლნისიც არის ჩართული. ფედერაციამ უკვე მისწერა წერილი სპორტის სამინისტროს, რომ ბოლნისშიც გამოიცვალოს მინდორი. ამის გარდა, ბოლნისის გამგეობა აპირებს, რომ 900 000 ლარი გამოყოს ხელოვნურსაფრიანი მოედნის დასაგებად და ორსართულიანი შენობის ასაშენებლად რეგიონში ფეხბურთის განვითარებისთვის. ასეთი ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს „სიონის" ასაკობრივი გუნდების წინსვლას და ბოლნისში საფეხბურთო სკოლის ჩამოყალიბებას, რაც დამეთანხმებით, ძალიან მნიშვნელოვანია.

**დავით თავართქილაძე**

ვიტ ჯორჯია

# გურამ რუხაძე: დახმარება სამართლიანი უნდა იყოს

ქართული საკლუბო ფეხბურთის პერსპექტივაზე „ლელოში" ამ ბოლო დროს არაერთხელ დაიწერა. გორის „დილას" მენეჯერმა გია ისიანმა პროექტიც წარადგინა, თუმცა კლუბების კონსოლიდირებული პოზიცია ჯერ არ ჩანს.
ქართული კლუბების მოფულიანებაზე საკუთარი აზრი აქვთ ფეხბურთის ფედერაციაშიც, მაგრამ საქმე ჯერ ამის იქით არ წასულა: არადა საკამათო არ უნდა იყოს, რომ თუ კლუბები წელში არ გასწორდნენ, სტაბილური შემოსავალი არ გაუჩნდათ, ამით ეროვნულ ნაკრებსაც კიდევ უფრო დაუმძიმდება მდგომარეობა.
სეზონის დასრულებას ორი თვე უკლია და ჯერ არავინ იცის, რა ბედი ელით ეგრეთ წოდებულ საბიუჯეტო კლუბებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კერძო კლუბებიც ვერ გასწვდებიან უსასრულოდ გუნდის დაფინანსებას, თუ რაღაც უკუგება არ ექნებათ.
ყოველივე ამასთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტ გურამ რუხაძეს, ვინც წლობით აფინანსებს კლუბს. „ვიტ ჯორჯია" ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი, მოგებული აქვს თასიცა და სუპერთასიც, ჩემპიონატის მრავალგზის პრიზიორია, ანუ რუხაძეს საკმაოდ ბევრი ფული აქვს დახარჯული ფეხბურთში...

**- ბატონო გურამ, თქვენ როგორ გესახებათ ვითარების გამოსასწორებელი გზა?**

- არ შეიძლება, რომ ნახევარი გუნდები სახელმწიფოს დაფინანსებაზე იყვნენ, ნახევარი კი კერძო კომპანიების. ასეთი სიტუაციით ირღვევა ბალანსი. თუ სახელმწიფოს ფეხბურთის დახმარება სურს, მაშინ ის თანხა, რაც გამოიყოფა საბიუჯეტო კლუბებისთვის, უნდა მოხვდეს ერთი ორგანიზაციის ხელში - ან ფეხბურთის ფედერაციაში, ან პროფლიგაში. ამის შემდეგ ეს თანხა უნდა გაიყოს ორ ნაწილად: პირველი ნაწილი იქნება სამონაწილეო თანხა, ანუ ლიგის ყველა გუნდს ამ თანხიდან შეხვდება თანაბარი წილი, მეორე ნაწილი კი უნდა დარიგდეს გუნდების მიერ დაკავებული ადგილების მიხედვით, ანუ სპორტული პრინციპით. ეს იქნება თანხის სამართლიანად გადანაწილება, ანუ სახელმწიფოს გერი კლუბები აღარ იქნებიან. ისე, იდეაში, სახელმწიფო კლუბები არ უნდა არსებობდნენ.

**- არის მაგალითები, როცა სხვა ქვეყნებში სახელმწიფო აფინანსებს საფეხბურთო კლუბებს...**

- და თუ დახმარება უნდა სახელმწიფოს, ბარემ სამართლიანად გაკეთდეს ეს ყველაფერი. თხუთმეტი წელია, ვაფინანსებ კლუბს...

**- ანუ მეწარმე იხდის ფულს, აფინანსებს კლუბს, ამავე დროს იხდის გადასახადებს და გადასახადებიდან წასული ფულით ფინანსდებიან ის კლუბები, რომელთაც არ ჰყავთ კერძო მეპატრონე, ანუ ფეხბურთში მოსაქმე ბიზნესმენი ირიბად კონკურენტ გუნდსაც აფინანსებს...**


გურამ რუხაძე

- ეს საკითხი სხვა კლუბის პრეზიდენტმა წამოჭრა, ცხადია, ესეც გასათვალისწინებელია, მაგრამ ეს მხოლოდ საქმის მეორე ნაწილია. სახელმწიფოს მიერ საკლუბო ფეხბურთისკენ მიმართული თანხა თუ უმაღლესი ლიგის თორმეტივე კლუბზე გადანაწილდება, ეს ბიძგს მისცემს ფეხბურთის განვითარებას. გარიგებული მატჩები, ფულის არასწორი ხარჯვა... თუ დავაკვირდებით, ასეთი რაღაცები უფრო ეგრეთ წოდებულ საბიუჯეტო კლუბებს უკავშირდება. კერძო კლუბი განსხვავებულად მოქმედებს, თითოეულ თეთრს უფრთხილდება.

**- „ვიტ ჯორჯიას" ახლანდელ მდგომარეობაზეც გკითხავთ - ბოლო წლებში თქვენი კლუბი სტაბილურად მოწინავე იყო, ახლა კი უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის უწევს ბრძოლა...**

- მაქსიმუმს გავაკეთებთ, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალოს. „ვიტ ჯორჯიას" მთავარ მწვრთნელად ზურაბ ბერიძე დავნიშნეთ, რადგან მან ყველაზე კარგად იცის ჩვენი გუნდის სიტუაცია. მომდევნო სეზონში სულ სხვა გუნდი გვეყოლება, უფრო ბრძოლისუნარიანი და ძლიერი.

**დავით თავართქილაძე**

ზუგდიდი

# შეხვედრა გულშემატკივრებთან

"ზუგდიდის" დირექტორი **მალხაზ ჭეჟია** და გუნდის მთავარი მწვრთნელი **ელგუჯა ქომეთიანი** გულშემატკივრებს შეხვდნენ და კლუბის წარუმატებლობის მიზეზებზე ესაუბრნენ. შეგახსენებთ, ამ შეხვედრას წინ უძღოდა ქომეთიანის განცხადება გადადგომის თაობაზე, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ მას დარჩენა სთხოვა.

*„გუნდი როცა იგებს, ეს არის ფეხბურთელების დამსახურება, როცა გუნდი აგებს, ეს მწვრთნელის ბრალია, ამიტომ მე უფლებას ვერ მივცემ ჩემს თავს, გამართლება სხვაგან მოვძებნო. ცუდ შედეგებს თავისი მიზეზები აქვს. გუნდიდან გამოცდილი ფეხბურთელები წავიდნენ. მივიჩნიეთ, რომ რადგან გუნდს ევროსაგზურისთვის ბრძოლის ამბიცია არ ჰქონდა, უმჯობესი იქნებოდა, ადგილობრივ კადრებს დავყრდნობოდით. ამ ნაბიჯმა არ გაამართლა, რასაც საკუთარ თავს ვერ ვპატიობ",* - უთხრა გულშემატკივრებს ელგუჯა ქომეთიანმა, რომელმაც საქმისადმი ფეხბურთელთა არაპროფესიონალურ დამოკიდებულებასაც გაუსვა ხაზი.


„ზუგდიდის" ხელმძღვანელობა გულშემატკივრებს შეხვდა

მისივე თქმით, გუნდის წარუმატებელი თამაშების გამო რვა ფეხბურთელი დაისაჯა და დუბლშემადგენლობაში გადაიყვანეს, მაგრამ უკეთესი თამაშის შემთხვევაში მათ აქვთ შანსი, მთავარ გუნდს დაუბრუნდნენ.

ქომეთიანმა არასახარბიელო პირობებზეც ისაუბრა: *"არ გვაქვს სათანადო სავარჯიშო პირობები, გადაადგილების პრობლემები გვაქვს, არ გაგვაჩნია საკუთარი სტადიონი, საშხაპე. ასე რომ, ბოლოს მაინც ფინანსურ პრობლემებამდე მივდივართ".*

*"ზუგდიდის" ფინანსური მდგომარეობა არ არის ისეთი, როგორიც გორის „დილას" აქვს. არ გვაქვს ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც შეეფერება უმაღლესი ლიგის გუნდს, თუმცა ვფიქრობთ, ეს პრობლემაც გამოსწორდება",* - განაცხადა მალხაზ ჭეჟიამ.

კლუბის გულშემატკივრების შეფასებით, "ზუგდიდის" წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი მოკრძალებული ბიუჯეტია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დაბრუნება

## ზურაბ ბერიძე:
# პირველ ლიგაზე არ ვფიქრობთ

**რამდენიმე დღის წინ "ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელის თანამდებობა მერაბ კოჭლამაზიშვილმა დატოვა, მის ნაცვლად კი ვეტერინარები კვლავ ზურაბ ბერიძემ ჩაიბარა, რომელიც გუნდის თავკაცად უკვე მესამედ დაინიშნა, კოჭლამაშვილის მწვრთნელობისას კი საკლუბო სისტემაში მუშაობდა.**

**მის წინაშე მეტად რთული ამოცანაა – "ვიტ ჯორჯია" უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. ბერიძე "ლელოს" საკუთარი გეგმების შესახებ ესაუბრა.**



**- როგორი განწყობით შეუდექით კარგად ნაცნობ საქმეს?**

- განწყობა საბრძოლო და ოპტიმისტური მაქვს. "ვიტ ჯორჯიასთვის", რომელიც ხშირად იბრძოდა უმაღლესი მიზნებისთვის, უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საფრთხე უცხო და უსიამოვნო ფაქტია, მაგრამ ეს ფეხბურთია, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ბიჭებს ვესაუბრე და ვუთხარი, რომ მათი ბოლომდე მჯერა და აუცილებლად უნდა შევძლოთ უძლიერესთა შორის დარჩენა.

**- გუნდის ფსიქოლოგიური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია?**

- რასაკვირველია, ასეთი წნეხით თამაში არავის სიამოვნებს, მაგრამ ფეხბურთელებს სჯერად საკუთარი ძალებისა და უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ბოლომდე იბრძოლებენ.

**- გუნდში საკუთარი იდეების გასატარებლად დიდი დრო არ უნდა დაგჭირდეთ.**

- რა თქმა უნდა, ასეა. წლებია, "ვიტ ჯორჯიაში" ვმუშაობ და ფეხბურთელების შესაძლებლობებს ხუთი თითივით ვიცნობ. დასაკარგი დრო არ გვაქვს, სატურნირო მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ.

**- კლუბის ხელმძღვანელობასთან მოვლენების შესაძლო არასახარბიელო განვითარებაზე, ანუ პირველ ლიგაში შესაძლო დაქვეითებაზე ხომ არ ისაუბრეთ?**

- ახლა მთლიანად სეზონის დარჩენილ ნაწილზე ვართ კონცენტრირებულები და პირველ ლიგაზე საერთოდ არ ვფიქრობთ. ყველა შანსი და რესურსი გვაქვს საიმისოდ, რომ მომავალი სეზონი უმაღლეს ლიგაში დავიწყოთ. "ვიტ ჯორჯიას" ბირთვი წინა სეზონის შემდეგ არ შეცვლილა. ჩვენმა მოთამაშეებმა უკვე საკმაო გამოცდილება დააგროვეს და ალოგიკური იქნება, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება რომ ვერ შეძლონ.

**- უახლოეს კალენდარულ მატჩზე რას იტყვით?**

- მარტვილში "მერანს" ვეთამაშებით, რაც ნებისმიერი გუნდისთვის რთულია. შევეცდებით, მასპინძლებს არაფერი დავუთმოთ და მინიმუმ ქულის მოსაპოვებლად ვიბრძოლოთ.

**- საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატის დონე თქვენთვის დამაკმაყოფილებელია?**

- ნამდვილად არ არის დამაკმაყოფილებელი თუნდაც იმის ფონზე, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს ბოლო წლებში ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის კლუბებმა. სანამ ჩვენს უმაღლეს ლიგაში ფინანსურად უფრო მძლავრი კლუბები არ ითამაშებენ, ჩემპიონატის დონის ზრდაზე საუბარი უადგილო იქნება. "ვიტ ჯორჯია" თავისი პირობებით, ინფრასტრუქტურითა და ბიუჯეტით წამყვან ქართულ კლუბებს ვერ გაუწევს კონკურენციას, მაგრამ უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ ყოველმხრივ მზადაა. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით უმაღლესი ლიგის ყველა ბინადარზე.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქალთა ფეხბურთი

# საქართველო გალიდერდა

**საქართველო-ლიტვა 4:3**

4.04. ვეტრა

0:1 ვანაგაიტე (9), 0:2 ბლოზიტე (17), 1:2 პასიკაშვილი (32), 2:2 ჭყონია (39), 3:2 მატვეევა (60), 3:3 მაზუკელიტე (82), 4:3 კუნიჩკაიტე (85. ს.კ.)

საქართველო: ჭკუასელი, სუთიძე, პასიკაშვილი, ქველიძე, მალიძე, თოდაძე, მატვეევა, ჭიჭინაძე (73. ბაქრაძე), ჭყონია, ტატუაშვილი, სხირტლაძე

სათადარიგოები: გულორდავა, კვალიაშვილი, ხუბულური, ბასილაძე, ზაქაიძე

მწვრთნელი: თ. სვანაძე




საქართველოს ქალთა ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებული სტარტი აიღო. **თეიმურაზ სვანაძის** გუნდმა დაძაბულ და დრამატულ ბრძოლაში მასპინძელ ლიტვას 4:3 სძლია და შემდეგ რაუნდში გასვლის შესანიშნავი შანსი აქვს. საამისოდ ოთხგუნდიანი ჯგუფის ორ საუკეთესო გუნდში მოხვედრაა საჭირო.

საქართველოს ნაკრები პირველი ტურის შემდეგ ჯგუფის ლიდერია, რადგან მეორე შეხვედრა ფარერებსა და ჩერნოგორიას შორის ფრედ, 3:3 დასრულდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | 4-3 | 3 |
| 2. ჩერნოგორია | 1 | 0 | 1 | 0 | 3-3 | 1 |
| 3. ფარერები | 1 | 0 | 1 | 0 | 3-3 | 1 |
| 4. ლიტვა | 1 | 0 | 0 | 1 | 3-4 | 0 |

ხვალ:

საქართველო-ჩერნოგორია

ლიტვა-ფარერები

**ლევან ჯანეზაშვილი**

ბავშვთა ფეხბურთი



# ტორპედო-ავაზა გრანდების ტურნირზე მიიწვიეს

თურქეთის ქალაქ ალანიაში პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი "Evima Cup 2013" ხუთ ასაკობრივ კატეგორიაში გაიმართა. 1999 წელს დაბადებულთა შორის საქართველო თბილისის "ლოკომოტივისა" და "ტორპედო-ავაზას" საფეხბურთო სკოლებმა წარმოადგინეს.

"ტორპედო-ავაზა" გამარჯვებული დაბრუნდა. 28 წელიწადია, რაც მისი მთავარი მწვრთნელი **ანზორ ზუკაკიშვილი** "ავაზაში" ქართულ ფეხბურთს ემსახურება და ბევრი ცნობილი მოთამაშე გაუზრდია. მაგალითად, ახლა "ტორპედოში" მისი ორი ფეხბურთელი თამაშობს - **გრიგოლ დოლიძე** და **მერაბ გიგაური**.

ტურნირი ჯგუფური ფორმატით ჩატარდა და მასში სხვადასხვა ქვეყნის 50 გუნდი მონაწილეობდა. ჯგუფში "ტორპედო-ავაზამ" ერთადერთი მატჩი მოსკოვის "სტროგინოს" აკადემიასთან დათმო (1:3). ფინალშიც სწორედ მათ შეხვდა, **თორნიკე კოკაიას** გოლით 1:0 დაამარცხა და თასს დაეუფლა. ტორპედოელებმა ორ ნომინაციაში გაიმარჯვეს - საუკეთესო ფეხბურთელად **ლევან კუპრაძე** დაასახელეს, ბომბარდირი კი საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრების წევრი **ალეკო შეყილაძე** გახდა. ამ უკანასკნელს წილად ხვდა მაყურებლის სიმპათიის პრიზიც.

ალსანიშნავია, რომ "ტორპედო-ავაზა" ზაფხულში ბულგარეთში გასამართ სოლიდურ ტურნირზეც მიიწვიეს, სადაც ლონდონის "ჩელსისა" და ამსტერდამის "აიაქსის" ასაკობრივი გუნდებიც იასპარეზებენ.

ცნობისთვის: "ტორპედო-ავაზას" ეს გუნდი ელიტლიგის მოქმედი ჩემპიონია.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# რატომ გადავიდა ლონლაძე ილუქსტეში?!
## ოღონდ დაუგავაში არ ვყოფილიყავი და...

**მამუკა ლონლაძის** სატრანსფერო ამბები კვლავ აქტუალურია. 27 წლის თავდამსხმელისა და დაუგავპილსის "დაუგავას" მძიმე ურთიერთობის ისტორიაში კიდევ ერთი მოულოდნელი ფურცელი მარტის ბოლოს ჩაიწერა: ლატვიის ჩემპიონმა ქართველი ლეგიონერი ვირსლიგის (უმაღლესი ლიგა) დებიუტანტ "ილუკსტეში" გაუშვა.

ეს მწირი ისტორიის მქონე საფეხბურთო კლუბია, 2009 წელს დაარსდა და თავდაპირველად, სამი წელი, საფეხბურთო სკოლის სახელით ლატვიის მეორე ლიგაში ასპარეზობდა. შარშან კი არსებობის ისტორიაში პირველად, ვირსლიგის საგზური მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ წარმატებული სეზონის შემდეგ, დაუგავპილსის "დაუგავას" ქართველი თავდამსხმელი ზამთარში ვლადიკავკაზის "ალანიაში" ისინჯებოდა, სადაც არ დაიტოვეს. ამის გაგება კიდევ შეიძლება, რუსეთის პრემიერლიგის მოთხოვნები ლატვიისას ბევრად აღემატება, მაგრამ ლატვიის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის, ბომბარდირისა და თავდამსხმელის ლიგის დებიუტანტში გასასვლა ამ ბალტიისპირული ქვეყნის მედიამ სეზონის უპირველეს სენსაციად უკვე მონათლა. უკრაინულმა „სპორტ-ექსპრესმა" კი დაწერა: "დაუგავპილსელთა თავდამსხმელის, ლატვიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის "ილკუსტეში" იჯარით გადასვლა ზამთრის სატრანსფერო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე დამაინტრიგებელი მოვლენა აღმოჩნდა".

ლატვიაში სეზონი დაიწყო. "ილუკსტემ" გასვლაზე "სპარტაკსთან" 2:2 ითამაშა, ლონლაძე კი მოედანზე მხოლოდ 77-ე წუთზე გამოჩნდა და თავი არ გამოუჩენია.


მამუკა ლონლაძე

"ჩემი ახალი გუნდი უმაღლესი ლიგის დებიუტანტია, მაგრამ პერსპექტიული ახალგაზრდული კლუბია. ლატვიაში დაბრუნებული, "დაუგავაში" ვვარჯიშობდი და არც მეგონა, კარიერას სხვა კლუბში თუ გავაგრძელებდი, მაგრამ ადრეც გითხარით, რომ "დაუგავას" პრეზიდენტთან დაძაბული ურთიერთობა მქონდა. ამავე დროს, ზამთარში ინდივიდუალურად ვემზადებოდი, წყალტუბოს "სამგურალში" მხოლოდ გამგ ზავრებამდე ვივარჯიშე და ცხადია, ფორმაში არ ვიყავი. ვიცოდი, ასე არ მათამაშებდნენ და იჯარის შანსი რომ გამიჩნდა, ოღონდ "დაუგავაში" აღარ ვყოფილიყავი და დებიუტანტ გუნდში თამაშსაც სიამოვნებით დავთანხმდი. "ილუკსტეში" სწორედ ფორმის აღდგენისა და სათამაშო პრაქტიკის იმედად გადავედი. "დაუგავას" არც ჩემპიონობა მაინტერესებს და არც პრესტიჟი. ლატვიის ფეხბურთის ფედერაციამ ტრანსფერი ჩემპიონატის დაწყებამდე ორიოდე დღით ადრე დაარეგისტრირა და უკვე გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვემზადები" – გვითხრა ლონლაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

პირველი ლიგა

**A ზონა**

| | |
|---|---|
| გურია-რაჭა | 3:0 |
| სტუ-ბეთლემი | 6:0 |
| დინამო 2 (თბ)-ჭიათურა | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 23 | 19 | 2 | 2 | 63-14 | 59 |
| 2. საცკო | 22 | 16 | 2 | 4 | 64-21 | 50 |
| 3. დინამო-2 | 23 | 14 | 4 | 5 | 69-34 | 46 |
| 4. გაგრა | 22 | 14 | 1 | 7 | 45-25 | 43 |
| 5. სტუ | 23 | 10 | 2 | 11 | 50-54 | 32 |
| 6. მეშახტე | 22 | 8 | 5 | 9 | 26-46 | 29 |
| 7. სძური | 22 | 7 | 6 | 9 | 24-36 | 27 |
| 8. ძედა | 23 | 8 | 2 | 13 | 27-53 | 26 |
| 9. იმერეთი | 22 | 7 | 4 | 11 | 23-32 | 25 |
| 10. ჭიათურა | 23 | 5 | 5 | 13 | 22-40 | 20 |
| 11. სულორი | 22 | 4 | 4 | 14 | 19-49 | 16 |
| 12. რაჭა | 23 | 3 | 3 | 17 | 23-51 | 12 |

**B ზონა**

| | |
|---|---|
| სამტრედია-მერცხალი | 3:1 |
| ლოკომოტივი-ლიახვი | 1:1 |
| შუქურა-ჩხერიმელა | 5:2 |
| კოლხეთი (ხ)-ადელი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 20 | 17 | 2 | 1 | 55-8 | 53 |
| 2. შუქურა | 21 | 14 | 3 | 4 | 42-16 | 45 |
| 3. კოლხეთი (ხ) | 21 | 13 | 2 | 6 | 29-21 | 41 |
| 4. სამტრედია | 21 | 12 | 2 | 7 | 36-27 | 38 |
| 5. ლოკომოტივი | 21 | 11 | 5 | 5 | 52-24 | 38 |
| 6. სამგურალი | 20 | 9 | 6 | 5 | 40-29 | 33 |
| 7. ალგეთი | 20 | 7 | 3 | 10 | 29-35 | 24 |
| 8. მერცხალი | 21 | 3 | 7 | 11 | 27-38 | 16 |
| 9. ლიახვი | 21 | 3 | 5 | 13 | 20-50 | 14 |
| 10. ადელი | 21 | 4 | 0 | 17 | 23-61 | 12 |
| 11. ჩხერიმელა | 21 | 3 | 1 | 17 | 21-65 | 10 |

● ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# რეალმა არც აცია, არც აცხელა...

## გალათასარაი კარგია, მაგრამ მეოთხედფინალიც ეყოფა...

„გალათასარაი“ ნამდვილად არ არის ცუდი გუნდი - ოთხშაბათის მატჩმა ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, მაგრამ თურქული გრანდი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მაინც ისეთი ანგარიშით დამარცხდა, რომ ფაქტობრივად უიმედო სიტუაციაშია. თანაც, ფათიჰ თერიმის გუნდს სტამბოლში წამყვანი მცველი დანი ნუნკეუ და გოლეადორი ბურაქ ილმაზი დისკვალიფიკაციის გამო დააკლდებიან. ამავე მიზეზით საპასუხო შეხვედრაში მადრიდელთა მხრიდან სერხიო რამოსი და ჩაბი ალონსო ვერ ითამაშებენ. გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ შეხვედრის დასკვნით ფაზაში მათ დიახაც სურდათ მესამე გაფრთხილებების მიღება, რათა ნახევარფინალს „სუფთანი“ შეხვდნენ. გუშინ გავრცელებული ცნობების თანახმად, უეფა სერიოზულად განიხილავს იმ ვარიანტს, რომ რამოსი და ჩაბი ალონსო კიდევ ერთი მატჩით დაისაჯონ, რადგან ეს არაა პირველი შემთხვევა, როცა „რეალის“ ფეხბურთელები ბედგადაწყვეტილ დუელში საპასუხო მატჩის წინ გაფრთხილებას თითქოს სპეციალურად იღებენ...

**რეალი-გალათასარაი 3:0**

**გოლები:** 1:0 კ. რონალდო (9), 2:0 ბენზემა (29), 3:0 იგუაინი (73)

**რეალი (4-2-3-1):** დიეგო ლოპესი - ესიენი, ვარანი, სერხიო რამოსი, ფაბიო კოენტრაო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია (86. პეპე), იოზილი (80. მოდრიჩი), კ. რონალდო - ბენზემა (65. იგუაინი).

**გალათასარაი (4-1-2-1-2):** მუსლერა - ებუე, სემი კაია, ნუნკეუ, რიერა (83. ამრაბატი) - ფელიპე მელო - ჰამით ალთინთოფი (78. უმუთ ბულუთი), სელჩუკ ინანი - სნეიდერი (46. გიოქჰანი) - ბ. ილმაზი, დროგბა.

**გაფრთხილება:** ჩაბი ალონსო, ესიენი, სერხიო რამოსი, მოდრიჩი - ნუნკეუ, ფელიპე მელო, დროგბა, ბ. ილმაზი

**მაყურებელი:** 76 462

### რეაქციები

**ჟოზე მოურინიო („რეალის“ მთავარი მწვრთნელი):** *„ნუ იტყვით, რომ ნახევარფინალში თამაში გარანტირებული გვაქვს. ჰო, 3:0 იდეალური ანგარიშია და სტამბოლში ერთი გოლი რომ გავიტანოთ, „გალათასარაის“ ხუთი ექნება გასატანი, მაგრამ ფეხბურთში იმდენი დაუჯერებელი რამ გადამხდენია, რომ ვერავინ ვერაფრით გამაკვირვებს და არასდროს არაფერს გამოვრიცხავ.“*

**ფათიჰ თერიმი („გალათასარაის“ მთავარი მწვრთნელი):** *„მიუხედავად იმისა, რომ ამ მატჩისთვის ძალიან კარგად მოვემზადეთ, სასურველთან მიახლოებული შედეგის მიღწევაც კი ვერ მოვახერხეთ. მართალია, „რეალი“ „გალათასარაიზე“ გაცილებით ძლიერი გუნდია, მაგრამ ასეთი გოლები მაინც არ უნდა გაგვეშვა. ჩემპიონთა ლიგა ის დონეა, სადაც წარმატებას მხოლოდ უშეცდომო თამაშით მიაღწევ.“*



„რეალი“ ცალი ფეხით ნახევარფინალშია

### შემადგენლობები

როგორც მოსალოდნელი იყო, **ჟოზე მოურინიომ** კარში მაინც **დიეგო ლოპესი** ჩააყენა, გამოჯანმრთელებული **იკერ კასილიასი** კი განაცხადშიც არ ყოფილა. პორტუგალიელმა თავდასხმაში უპირატესობა **ქარიმ ბენზემას** მიანიჭა, დაცვის მარჯვენა ფლანგზე კი **არბელოა ესიენით** შეცვალა.

„გალას“ თავკაც **ფათიჰ თერიმს** სიურპრიზები არ შემოუთავაზებია. მარცხენა მცველად კვლავ **რიერა** გაამწესა, **ჰაქან ბალთა** კი სათადარიგოთა სკამზე დატოვა. ერთი სიტყვით, თურქულმა გრანდმა მადრიდში ზუსტად იმ შემადგენლობით ითამაშა, რომლითაც „გალამ“ „შალკე“ გააგდო.

**გმირი**

**რაფაელ ვარანი (რეალი)**

მადრიდელთა ცენტრალურ მცველებს **ბურაქ ილმაზისა** და **დიდიე დროგბას** სახით მრისხანე ცენტრფორვარდებთან ჰქონდათ საქმე. **ვარანს** დროგბას წინააღმდეგ თავიდან კი გაუჭირდა, მაგრამ მერე ჯერ დასტაბილურდა, საბოლოო ჯამში კი, თამამად ვიტყვით, რომ მოედანზე საუკეთესო იყო. „რეალის“ მცველმა არც დროგბას და არც ილმაზს ფაქტობრივად არაფერი გააბედვინა, ხისტად თამაშობდა, მაგრამ, ამავდროულად, თამაშის წესები ერთხელაც არ დაურღვევია.

**ანტიგმირი**

**სემი კაია (გალათასარაი)**

თურქთა ცენტრალურმა მცველმა თამაში ნერვიულად დაიწყო და სანამ ნერვებს დაიწყნარებდა, მადრიდელები უკვე 2:0-ს იგებდნენ და ორივე გოლში ერთ-ერთი უმთავრესი დამნაშავე სწორედ **სემი კაია** იყო. მერე კი გამოსწორდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. „გალათასარაიდან“ ასევე ძალიან სუსტი გახლდათ **ჰამით ალთინთოფი**, რომელმაც განსაკუთრებით ცუდად მეორე ტაიმში ითამაშა.

### მსაჯი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნორვეგიელი **სვეინ ოდვარ მოენი** მეოთხედფინალის ოთხი მატჩიდან საუკეთესო მსაჯი იყო. **სამი ხედირას** ბურთი ზედიზედ ორჯერ რომ მოხვდა ხელზე, თამაში ალბათ მაინც სამართლიანად არ შეაჩერა, რადგან გერმანელი საყრდენის მოქმედებაში გამიზნულობა არ იკითხებოდა. სამაგიეროდ, ჩვენი აზრით, ბურაქ ილმაზი არ იმსახურებდა იმ ყვითელ ბარათს (სავარაუდო სიმულაციის გამო), რომლის გამოც საპასუხო შეხვედრა უნდა გამოტოვოს.

### მწვრთნელები

**ჟოზე მოურინიომ** „გალათასარაისთან“ შედარებით მორცხვი (თუ შეიძლება, რომ ასე ითქვას) სტრატეგია აირჩია: მისი შეგირდები აგრესიულად არ უტევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტაიმში „რეალის“ უკანა ხაზი იდეალურად არ მოქმედებდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ კონცეფციამ გაამართლა. ჟოზემ პირველი ორი შეცვლა პოზიციურად განახორციელა, მატჩის მიწურულს კი **დი მარიას** ნაცვლად, **პეპე** შემოუშვა - ამ უკანასკნელის დასკვნით ფაზაში გამოყვანა მოურინიოს თითქოს ტრადიციად ექცა.

თერიმმა შესვენებაზე ვაჟკაცური გადაწყვეტილება მიიღო: **სნეიდერის** ნაცვლად თამაშში **გიოქჰან ზანი** ჩართო და ტაქტიკაც შეცვალა - რომბისებური ნახევარდაცვის მქონე 4-4-2-დან გუნდი 3-5-2 სქემაზე გადააწყო. შეტევის დროს ებუე დროის უმეტეს ნაწილს შეტევაში ატარებდა და ჰამით ალთინთოფის პოზიციაზე ვხედავდით, ეს უკანასკნელი კი ცენტრისკენ იწევდა და თავდამსხმელების უკან დგებოდა. თუმცა თერიმის ცვლილებამ არ გაამართლა - „გალათასარაის“ შეტევებს სიმძაფრე იმდენად მოაკლდა, რომ მეორე ტაიმში თურქებს რეალური საგოლე მომენტი არ შეუქმნიათ.

### რაც თვალში მოგვხვდა

- თურქები მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე არ ზრუნავდნენ: პირველ ტაიმში საკმაოდ საინტერესოდ უტევდნენ, მაგრამ თერიმის გუნდს გადამწყვეტ მომენტებში კლასი აკლდა. „რეალის“ გამთამაშებელ **მესუთ იოზილს** მოედნის ცენტრში სამოქმედოდ თითქმის ყოველთვის დიდი სივრცე ჰქონდა. მისთვის **ფელიპე მელოს** უნდა მიეხედა, მაგრამ ბრაზილიელი საყრდენი უყურადღებოდ თამაშობდა.

- **ებუემ** აშკარად გადაამეტა - შეტევებში ზედმეტად ხშირად და რისკიანად ერთვებოდა, რის გამოც მის უკან სიცარიელე იქმნებოდა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ **კრიშტიანო რონალდო** სწორედ მის ფლანგზე მოქმედებდა, ებუეს საქციელი ჰარაკირის ტოლფასი იყო.

- „გალათასარაი“ პირველ ტაიმში ბურთს „რეალზე“ დიდხანს (54 პროცენტი) ფლობდა და კარისკენაც „რეალზე“ მეტჯერ დაარტყა (9:7). ამასთან, დროგბას და ებუეს კარგი საგოლე მომენტები შეექმნათ. ერთი სიტყვით, თურქები პირველ ტაიმში საკმაოდ კარგად უტევდნენ და მადრიდული სუპერგრანდის მცველები არაერთხელ აანერვიულეს.

- შესვენების შემდეგ ტაქტიკის შეცვლამ „გალათასარაის“ უკანა ხაზი უკეთ დაალაგა (როცა „რეალი“ უტევდა, თურქებს ფაქტობრივად 5 მცველი ჰყავდათ), მაგრამ ამან თერიმის გუნდის შეტევებს მოაკლო ეფექტი. მადრიდელები კი ისევ „მოკრძალებულები“ იყვნენ და შანსს კონტრშეტევებზე ელოდებოდნენ.

- თამაშის წინ ჩვენი ესპანელი კოლეგები წერდნენ, „რეალს“ ცენტრფორვარდის პოზიციაზე უჭირსო. შესაბამისად, **ბენზემას** და **იგუაინის** გოლები კრიტიკოსებს დროებით მაინც გააჩუმებს.

- „გალათასარაი“ „რეალს“ საკმაოდ დიდხანს არცთუ ურიგოდ ებრძოდა, მაგრამ საბოლოო ჯამში დავრწმუნდით, რომ თურქულ გრანდს არა აქვს საკმარისი კლასი იმისათვის, რომ „რეალის“ ან თუნდაც უფრო დაბალი რანგის გრანდს ტოლსწორად ეთამაშოს.

### დასკვნა

3:0-ის დასაფიქსირებლად „რეალს“ მთელი ძალით თამაში არ დასჭირდა. „გალათასარაი“ კი მართლაც სიმპათიური გუნდია, მაგრამ ამდენი ინდივიდუალური შეცდომა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის დონეს არ შეესაბამება.

---

# მეგობრობა როსალედაზე

## რა იქნება დორტმუნდში?

„ესტადიო ლა როსალედაზე“ დაფიქსირებული უგოლო ფრით უფრო ესპანელები უნდა იყვნენ კმაყოფილები, რადგან გერმანიის ჩემპიონი უკეთ თამაშობდა და გაცილებით უკეთესი მომენტებიც ჰქონდა. თუმცა მატჩის მიწურულს „მალაგასაც“ შეეძლო გატანა. ფაქტია, რომ მანუელ პელეგრინის გუნდს საპასუხო შეხვედრაში სასურველი შედეგის დაფიქსირება ძალიან გაუჭირდება. თანაც, „მალაგას“ დორტმუნდში დისკვალიფიკაციის გამო ველიგტონი და იტურა დააკლდებიან.

**მალაგა-დორტმუნდი 0:0**

**მალაგა (4-2-2-1-1):** ვილი - ხესუს გამესი, დემიკელისი, ველიგტონი, ანტუნეში - იტურა, ტულალანი - ხოაკინი, ისკო (87. დუდა) - ჟულიო ბაპტიშტა (76. სანტა კრუსი) - სავიოლა (68. პორტილიო).

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ფელიპე სანტანა, შმელცერი - გიუნდოგანი, კელი (80. ს. ბენდერი) - როისი (69. შიბერი), გიოტცე (92. კირხი), გროსკროიტცი - ლევანდოვსკი.

**გაფრთხილება:** ანტუნეში, ველიგტონი, იტურა - გროსკროიტცი

**მაყურებელი:** 28 963

### რეაქციები

**იურგენ კლოპი („დორტმუნდის“ მთავარი მწვრთნელი):** *„0:0 მიუღებელი შედეგი არ არის. საკმაოდ უსიამოვნო მეტოქის წინააღმდეგ კარგად ვითამაშეთ. ბიჭები ბურთისთვის ბოლო წამამდე იბრძოდნენ და ყველაფერი კარგად გააკეთეს გარდა იმისა, რომ დასკვნით ფაზაში დავუშვით შეცდომები. კარგად ვიცით, რაც უნდა ვქნათ საპასუხო მატჩში.“*

**მანუელ პელეგრინი („მალაგას“ მთავარი მწვრთნელი):** *„ვფიქრობ, რომ მიუხედავად 0:0-ისა, მაყურებლები კმაყოფილები დარჩებოდნენ, რადგან ინტენსიური მატჩი გამოვიდა და ორივე კართან შეიქმნა მომენტები. „დორტმუნდს“ ძალიან კარგი, ახალგაზრდა, ტექნიკური, დინამიკური და ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს. მართალია, ვერ მოვიგეთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ნახევარფინალში გასვლის შანსი გვაქვს, რადგან წინ კიდევ 90 წუთია. კარი დორტმუნდშიც მშრალად უნდა შევინახოთ.“*



მალაგას და დორტმუნდის ფანების მეგობრული ფოტო

**გმირი**

**რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი)**

პოლონელმა თავდამსხმელმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ დღესდღეობით ერთ-ერთი საუკეთესოა. მართალია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ პირველიდან ბოლო წუთამდე მაგრად იბრძოლა და რაც მთავარია, ძალიან მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი ჰქონდა. **ლევანდოვსკი** თითქმის ყოველ მეორე ორთაბრძოლას იგებდა, ხშირად ფლანგებზეც გადადიოდა, უკანაც იხევდა და ერთი სიტყვით, ძალიან სასარგებლო იყო. რობერტს ერთადერთ ნაკლად 47-ე წუთზე გაფუჭებულ იდეალურ საგოლე მომენტს თუ ჩავუთვლით.

**ანტიგმირი**

**ხავიერ სავიოლა (მალაგა)**

არგენტინელ თავდამსხმელს მოედანზე მყოფ ფეხბურთელთაგან ბურთთან ყველაზე ცოტა კონტაქტი ჰქონდა, უმეტესად „ჰაერში იყო გამოკიდებული“ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ბორუსიას“ მცველებმა შანსი არ დაუტოვეს.

### მსაჯი

შვედმა **იონას ერიქსონმაც** ნორმალურად იმსაჯა. სწორად მოიქცა, როცა გიოტცეს საგოლე მომენტის შემდეგ, **როისთან** ორთაბრძოლის გამო თამაშის წესების დარღვევა მოგვიანებით დააფიქსირა და **ანტუნეშს** ყვითელი ბარათი მისცა. სამაგიეროდ, შეცდომა იყო ის, რომ **ველიგტონი გიოტცეს** წაქცევისთვის არ დააჯარიმა.

### დასკვნა

ცხადად გამოჩნდა, რომ დორტმუნდის „ბორუსია“ „მალაგაზე“ უკეთესი გუნდია და წესით, **იურგენ კლოპის** შეგირდები უკმაყოფილოები უნდა იყვნენ იმის გამო, რომ სტუმრად გოლი ვერ გაიტანეს. თუმცა პელეგრინის გუნდს ნამდვილად ხელეწიფება სენსაციის მოხდენა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დორტმუნდი საკუთარ კედლებში გაცილებით ეფექტური იქნება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## უცხოური ფეხბურთი

● ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი.

# ჩხუბი პოლიციელებსა და ფეხბურთელებს შორის!

## რონალდინიოს გაბრწყინება



„ატლეტიკო მონეიროსა“ და „არსნალის“ მატჩის დროს პოლიცია და ფეხბურთელები ერთმანეთს დაერივნენ

### I ჯგუფი. V ტური

**ბოკა–ბარსელონა 1:0**

**გოლი:** 1:0 ბლანდი (9).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოკა | 5 | 3 | 0 | 2 | 5-4 | 9 |
| 2. ნასიონალი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 3. ტოლუკა | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 4. ბარსელონა | 5 | 0 | 3 | 2 | 4-6 | 3 |

### III ჯგუფი. V ტური

**ატლ. მინეირო–არსენალი 5:2**

**გოლები:** 1:0 დიეგო ტარდელი (11), 2:0 რონალდინიო (15-პენ), 2:1 ბრაგიერი (40), 3:1 ლუანი (47), 4:1 რონალდინიო (59), 4:2 ბენედეტო (85), 5:2 ალექსანდრო (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლ. მინეირო | 5 | 5 | 0 | 0 | 16-7 | 15 |
| 2. სან პაულო | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 3. არსენალი | 5 | 1 | 1 | 3 | 8-14 | 4 |
| 4. სტრონგესტ | 4 | 1 | 0 | 3 | 5-7 | 3 |

### V ჯგუფი. V ტური

**სან ხოსე–ტიხუანა 1:1**

**გოლები:** 0:1 ფ. მარტინესი (65), 1:1 მ. გომესი (81).

**გაძევება:** ლ. პალასიოსი (88. სან ხოსე).

**მილიონარიოსი–კორინთიანსი 0:1**

**გოლი:** 0:1 დანილო (57).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კორინთიანსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-2 | 10 |
| 2. ტიხუანა | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 10 |
| 3. სან ხოსე | 5 | 1 | 2 | 2 | 5-8 | 5 |
| 4. მილიონარიოსი | 5 | 1 | 0 | 4 | 2-7 | 3 |

### VIII ჯგუფი. V ტური

**კარაკასი–უაჩიპატო 0:4**

**გოლები:** 0:1 ბ. როდრიგესი (8), 0:2 ბ. როდრიგესი (36), 0:3 ბ. როდრიგესი (63), 0:4 ფალკონე (87).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უაჩიპატო | 5 | 2 | 1 | 2 | 9-7 | 7 |
| 2. ფლუმინენსე | 4 | 2 | 1 | 1 | 4-5 | 7 |
| 3. გრემიო | 4 | 2 | 0 | 2 | 9-5 | 6 |
| 4. კარაკასი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-11 | 6 |

**ბომბარდირები:** 5 – ბ. როდრიგესი (უაჩიპატო); 4 – ბარეირო (ოლიმპია), ვილიალობოსი (დეპორტეს იკიკე); 3 – ავილა (სპორტინგ კრისტალი), ბენედეტო (არსენალი), ბერნარდი (ატლეტიკო მინეირო), რონალდინიო (ატლეტიკო მინეირო), ჟო (ატლეტიკო მინეირო), დიეგო ტარდელი (ატლეტიკო მინეირო), გერერო (კორინთიანსი), ლაიხტვაისი (დეპორტეს ტოლიმა), ა. პენია (კარაკასი), საუსედო (სან ხოსე).

კოპა ლიბერტადორესის მორიგმა სათამაშო დღემ სენსაციების გარეშე ჩაიარა, სამაგიეროდ, კვლავ იყო სკანდალი, რომელმაც "დეჟა ვუს" შეგრძნება გაგვიჩინა...

ბრაზილიაში, კერძოდ მინას ჟერაესის შტატის დედაქალაქ ბელო ორიზონტეში, სტუმრად სარანდის "არსენალი" ჩავიდა. ამ ტურის წინ, "ატლეტიკო მინეიროს" ჯგუფიდან გასვლის საკითხი გადაწყვეტილი ჰქონდა, "არსენალს" კი ქულები ჰაერივით ესაჭიროებოდა. გარდა ამისა, არგენტინელები ალბათ რევანშზეც ფიქრობდნენ, რადგან ამ გუნდების პირველი მატჩი, რომელიც არგენტინაში გაიმართა, მასპინძელთა განადგურებით, 2:5 დასრულდა.

მატჩი სტუმრებისთვის კატასტროფულად დაიწყო და მე-15 წუთზე უკვე 2:0 იყო. საბოლოოდ, ეს შეხვედრა პირველი თამაშის ანალოგიური ანგარიშით დასრულდა და ბრაზილიელებმა ისევ 5:2 იმარჯვეს. შესანიშნავად ითამაშა **რონალდინიომ**, რომელმაც დუბლი და ერთი საგოლე გადაცემა შეასრულა. ორი საგოლე პასით გამოირჩა **ჟო**, თითო გოლი კი ვეტერანებმა **დიეგო ტარდელიმ** და **ალექსანდრომ** და ახალგაზრდა **ლუანმა** გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ არგენტინელთა მხრიდან თავი გამოიჩინა **დიეგო ბრაგიერიმ**, ვინც პირველ შეხვედრაში რონალდინიოს კინაღამ ფეხი მოსტეხა, მაგრამ დისკვალიფიკაციას გადაურჩა.

ყველაზე საინტერესო რამ კი მატჩის შემდეგ მოხდა. საფინალო სასტვენის შემდეგ, მსაჯობით უკმაყოფილო არგენტინელებმა არბიტრებთან მისვლა სცადეს, რასაც წინ პოლიცია აღუდგა და მათ შორის ხელჩართული ჩხუბი პირდაპირ მოედანზე გაიმართა. პოლიციას და სტუმარ ფეხბურთელებს შორის კონფლიქტი ჯერ კიდევ შესვენებაზე დაწყებულა, თუმცა მაშინ ყველაფერი მოგვარდა.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც არგენტინელი ფეხბურთელები ბრაზილიელ სამართალდამცავებს უპირისპირდებიან. დაახლოებით 4 თვის წინ, კოპა სუდამერიკანას ფინალის შესვენებაზე, "ტიგრეს" და სან პაულოს პოლიციას შორის მოხდა კონფლიქტი, რომლის გამოც არგენტინელები მეორე ტაიმში მოედანზე აღარ გამოვიდნენ. არგენტინული პრესა ამ ფაქტების გამო შეშფოთებას გამოთქვამს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ დაახლოებით ერთ წელიწადში ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა გაიმართოს, სადაც სათამაშოდ არა რომელიმე კლუბი, არამედ არგენტინის ნაკრები ჩავა...

შეხვედრის შემდეგ, მასპინძელთა დამრიგებელმა **კუკამ** სტუმარი ფეხბურთელები გააკრიტიკა: *"ისინი აქ საჩხუბრად ჩამოვიდნენ. დავიღალე იმის ყურებით, თუ როგორ ურტყამდნენ ჩემს ფეხბურთელებს მაშინ, როდესაც მათ ბურთი არ ჰქონდათ. ჩემი შეგირდები შესვენებაზე გავაფრთხილე, რომ პროვოკაციას არ აჰყოლოდნენ, რადგან ჩხუბი და სიტუაციის დაძაბვა ჩვენს გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა,"* – განაცხადა "ატლეტიკო მინეიროს" დამრიგებელმა.

### ბოკამ დაბადების დღე აღნიშნა

უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო "ბოკა ხუნიორსმა", რომელმაც **ნიკოლას ბლანდის** მიერ მე-9 წუთზე გატანილი გოლით ეკვადორის "ბარსელონას" სძლია და ჯგუფში დროებით გალიდერდა. **კარლოს ბიანკის** შეგირდებმა შინ პირველი მატჩი მოიგეს და იუბილე სათანადოდ აღნიშნეს. თამაშის დღეს (3 აპრილს) "ბოკას" 108 წელი შეუსრულდა და ამის გამო, არგენტინელებს წარუმატებლად გამოსვლის უფლება არ ჰქონდათ. მასპინძლებს გაცილებით დიდი ანგარიშითაც უნდა მოეგოთ, მაგრამ შესანიშნავად ირჯებოდა სტუმართა მეკარე **მაქსიმო ბანგერა**, ვინც არაერთი რთული ბურთი მოიგერია.

ყველაფერი გაირკვა მე-5 ჯგუფში, საიდანაც ასპარეზობას "კორინთიანსი" და "ტიხუანა" გააგრძელებენ. კოპა ლიბერტადორესის მოქმედმა გამარჯვებულმა **დანილოს** გოლით "მილიონარიოსს" მოუგო, მექსიკის ჩემპიონმა კი ბოლივიიდან ქულა წამოიღო და მინიმუმ მეორე ადგილი გაინაღდა.

რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა მე-8 ჯგუფში. აქ მეხუთე ტურის ერთი მატჩი გაიმართა, რომელმაც ჯგუფის ლიდერი შეცვალა. ბევრისთვის მოულოდნელად, "უაჩიპატომ" "კარაკასი" გაანადგურა და ბოლო ადგილიდან პირველზე გადავიდა. სტუმართა მხრიდან გამოირჩა **ბრიან როდრიგესი**, ვინც ჰეთთრიქი შეასრულა და ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა.

**ტატო ბაციკაძე**

● MLS. რეგულარული სეზონი. V ტური

# კანადელთა შავი დღე და ანრის პირველი გოლი

**ტორონტო–გელექსი 2:2**

**გოლები:** 0:1 მაგი (16), 1:1 ერნშოუ (29), 2:1 ოსორიო (78), 2:2 ვილიარეალი (90).

**რედ ბულსი–ფილადელფია 2:1**

**გოლები:** 1:0 დ. მაკკარტი (55), 1:1 კეისი (63), 2:1 ანრი (82).

**ნიუ ინგლენდი–დალასი 0:1**

**გოლი:** 0:1 ბ. პერესი (87).

**კოლორადო–პორტლენდი 2:2**

**გოლები:** 1:0 პაუერსი (18), 2:0 თომასი (48-პენ), 2:1 ვ. ჯონსონი (55), 2:2 ვ. ჯონსონი (71-პენ).

**კანზას სიტი–მონრეალი 2:0**

**გოლები:** 1:0 ბილერი (5), 2:0 ზუსი (80).

**ჰიუსტონი–სან ხოსე 2:0**

**გოლები:** 1:0 ბრუინი (18), 2:0 ბარნსი (42).

**სოლტ ლეიკი–სიეტლი 2:1**

**გოლები:** 1:0 ფინდლი (8), 2:0 გილი (35), 2:1 ბ. ევანსი (57)

**ჩივასი–ვანკუვერი 2:1**

**გოლები:** 1:0 დევიდსონი (12-საკ. კარში), 2:0 ე. ავილა (55), 2:1 კ. მილერი (64).

**სატურნირო მდგომარეობა:**

**აღმოსავლეთი კონფერენცია:** 1. მონრეალი – 12 ქულა, 2. ჰიუსტონი (4 თ) – 9, 3. კანზას სიტი – 8, 4. კოლამბუსი (4 თ) – 7, 5. ფილადელფია (4 თ) – 6, 6. რედ ბულსი – 5, 7. ტორონტო (4 თ) – 4, 8. DC იუნაიტედი (4 თ) – 4, 9. ნიუ ინგლენდი (4 თ) – 4, 10. ჩიკაგო (4 თ) – 1

**დასავლეთი კონფერენცია:** 1. დალასი – 12 ქულა, 2. ჩივასი – 10, 3. გელექსი (4 თ) – 8, 4. სოლტ ლეიკი – 7, 5. სან ხოსე – 7, 6. ვანკუვერი (4 თ) – 6, 7. პორტლენდი (4 თ) – 3, 8. კოლორადო – 2, 9. სიეტლი (4 თ) – 1

**ბომბარდირები:** 5 – მაგი (ლოს ანჯელეს გელექსი); 4 – ერნშოუ (ტორონტო); 3 – ბილერი (სპორტინგ კანზას სიტი), ა. საბორიო (რეალ სოლტ ლეიკი).

მორიგი ტური კოშმარული გამოდგა კანადური კლუბებისთვის. MLS-ში სულ სამი კანადური კლუბია და მათ ჯამში მხოლოდ ერთი ქულა აიღეს. მიუხედავად ამისა, საკუთარ კონფერენციაში პირველი ადგილი შეინარჩუნა "მონრეალმა", ვინც ამ ტურში "სპორტინგ კანზას სიტისთან" უშანსოდ წააგო. მასპინძელთა მხრიდან მორიგი გოლი გაიტანა არგენტინელმა **კლაუდიო ბილერმა**, ვინც აშშ-ს საკმაოდ კარგად შეეწყო.

"ჩივასთან" დამარცხდა "ვანკუვერი", რომლის რიგებშიც ისევ გამოირჩა **კენი მილერი**, მაგრამ შოტლანდიელის გოლი თუნდაც ქულის მოსაპოვებლად საკმარისი არ იყო. კანადელთაგან ერთადერთი ქულა "ტორონტომ" აიღო, რომელსაც ოდნავ რომ გამართლებოდა, აუცილებლად მოიგებდა – მასპინძლები ჩემპიონ "ლოს ანჯელეს გელექსის" 2:1-ს უგებდნენ, მაგრამ არბიტრის მიერ დამატებულ დროში გაუშვეს და მხოლოდ ქულას დასჯერდნენ. "ტორონტოდან" ზედიზედ მესამე შეხვედრაში გაიტანა **რობერტ ერნშოუმ**, რომლის ანგარიშზეც უკვე 4 ბურთია.

ორი ფრის და ორი წაგების შემდეგ, სეზონში პირველი თამაში მოიგო "ნიუ იორკ რედ ბულსმა", რომლის რიგებშიც გამარჯვების მომტანი გოლი **ტიერი ანრიმ** გაიტანა, ვისთვისაც ეს გოლი ამ ჩემპიონატში ასევე პირველი იყო. აღსანიშნავია, რომ ანრი ცვლილებაზე გამოვიდა (**ტიმ კეჰილი** შეცვალა) და გოლის გასატანად 23 წუთიც იკმარა. "რედ ბულსის" ძირითად შემადგენლობაში იყვნენ **ჟუნინიო პერნამბუკანო** და **პეგი ლუინდულა**, მაგრამ მათ თავი არ გამოუჩენიათ.

**ტატო ბაციკაძე**

● მარსელი

## ვალბუენა დაშავდა



ტრავმა მიიღო "მარსელის" ერთ-ერთმა ლიდერმა **მატიო ვალბუენამ**, რომელიც თამაშს დაახლოებით 10-12 დღის განმავლობაში ვერ შეძლებს. 28 წლის ფეხბურთელი საკუთარ გუნდს დღეს, "ბორდოსთან" გასამართ შეხვედრაში ვერ დაეხმარება და ასევე არ იქნება მომდევნო ტურში, რომელშიც "ოლიმპიკს" კიდევ ერთი რთული მატჩი ელის – **ელი ბოპის** გუნდის მეტოქე "ლილი" იქნება.

ვალბუენა წელს კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს და მისი გამოკლება "მარსელისთვის" სერიოზული დანაკლისია. წლევანდელ ლიგა 1-ში ნახევარმცველს ერთი თამაშიც არ გამოუტოვებია. ვალბუენას ანგარიშზე 2 გოლი და 8 საგოლე პასია (30 შეხვედრაში).

**ტატო ბაციკაძე**

● პარასკევის მატჩების წინ

### საფრანგეთი.

**ლიგა 1. XXXI ტურის წინ**

**5 აპრილი**

**მარსელი–ბორდო 22:30**

ბოლო 6 მატჩი:

+3=2-1 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები:**

სულ 99 თამაში: +31=32-36 (126:131)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 30 | 18 | 7 | 5 | 54-20 | 61 |
| 2. მარსელი | 30 | 16 | 6 | 8 | 35-32 | 54 |
| 3. ლიონი | 30 | 15 | 8 | 7 | 49-32 | 53 |
| 4. სტ. ეტიენი | 30 | 13 | 11 | 6 | 50-25 | 50 |
| 5. ლილი | 30 | 13 | 10 | 7 | 43-31 | 49 |
| 6. ნიცა | 30 | 13 | 9 | 8 | 41-34 | 48 |
| 7. მონპელიე | 30 | 13 | 6 | 11 | 44-36 | 45 |
| 8. ლორიანი | 30 | 11 | 11 | 8 | 48-45 | 44 |
| 9. ბორდო | 30 | 10 | 13 | 7 | 29-25 | 43 |
| 10. რენი | 30 | 12 | 6 | 12 | 41-41 | 42 |
| 11. ტულუზი | 30 | 10 | 11 | 9 | 36-34 | 41 |
| 12. ვალანსიენი | 30 | 9 | 9 | 12 | 40-45 | 36 |
| 13. ბასტია | 30 | 10 | 6 | 14 | 38-56 | 36 |
| 14. აიაჩო | 30 | 8 | 11 | 11 | 32-40 | 33 |
| 15. ევიანი | 30 | 7 | 10 | 13 | 34-43 | 31 |
| 16. რეიმსი | 30 | 7 | 10 | 13 | 28-37 | 31 |
| 17. სოშო | 30 | 8 | 7 | 15 | 32-47 | 31 |
| 18. ბრესტი | 30 | 8 | 5 | 16 | 29-44 | 29 |
| 19. ნანსი | 30 | 6 | 9 | 15 | 28-47 | 27 |
| 20. ტრუა | 30 | 4 | 13 | 13 | 36-53 | 25 |

**შენიშვნა:** "აიაჩოს" – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 25 – იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 17 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 12 – ალიადიერი (ლორიანი), ცვიტანიჩი (ნიცა), გომისი (ლიონი).

### ესპანეთი. ლა ლიგა.

**XXX ტურის წინ**

**5 აპრილი**

**გრანადა–ბეტისი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** კემპბელი, ამაია, ბენიატი (ბეტ)

**ტრავმა:** ფ. რიკო, ბენიტესი, იებდა - პერკი, ვილარჩაო

**ბოლო 6 მატჩი**

+0=2-4 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 6 თამაში: +3=0-3, (10-9)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 29 | 24 | 3 | 2 | 90-33 | 75 |
| 2. რეალი | 29 | 19 | 5 | 5 | 72-28 | 62 |
| 3. ატლეტიკო | 29 | 19 | 4 | 6 | 51-25 | 61 |
| 4. სოსიედადი | 29 | 13 | 9 | 7 | 51-37 | 48 |
| 5. მალაგა | 29 | 13 | 8 | 8 | 41-28 | 47 |
| 6. ვალენსია | 29 | 13 | 7 | 9 | 42-41 | 46 |
| 7. ბეტისი | 29 | 13 | 5 | 11 | 39-42 | 44 |
| 8. ხეტაფე | 29 | 12 | 7 | 10 | 38-44 | 43 |
| 9. ვალეკანო | 29 | 13 | 2 | 14 | 38-49 | 41 |
| 10. ლევანტე | 29 | 11 | 7 | 11 | 34-41 | 40 |
| 11. სევილია | 29 | 11 | 5 | 13 | 43-41 | 38 |
| 12. ესპანიოლი | 29 | 9 | 9 | 11 | 35-39 | 36 |
| 13. ვალიადოლიდი | 29 | 9 | 8 | 12 | 37-41 | 35 |
| 14. ბილბაო | 29 | 10 | 5 | 14 | 33-51 | 35 |
| 15. ოსასუნა | 29 | 8 | 7 | 14 | 26-33 | 31 |
| 16. გრანადა | 29 | 7 | 7 | 15 | 26-40 | 28 |
| 17. სარაგოსა | 29 | 7 | 6 | 16 | 26-43 | 27 |
| 18. სელტა | 29 | 6 | 6 | 17 | 29-43 | 24 |
| 19. მალიორკა | 29 | 6 | 6 | 17 | 32-58 | 24 |
| 20. დეპორტივო | 29 | 5 | 8 | 16 | 35-61 | 23 |

**ბომბარდირები:** 43 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 28 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 22 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო).

### გერმანია. ბუნდესლიგა.

**XXVIII ტურის წინ**

**5 აპრილი**

**ჰოფენჰაიმი–ფორტუნა 22:30**

**ტრავმა:** კრისი, ვუკჩევიჩი - ბრუნო სუარესი, ბოძეკი, ომაე

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 1 თამაში: +1=0-1, (1:1)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 27 | 23 | 3 | 1 | 78-13 | 72 |
| 2. დორტმუნდი | 27 | 15 | 7 | 5 | 62-32 | 52 |
| 3. ლევერკუზენი | 27 | 14 | 6 | 7 | 50-35 | 48 |
| 4. შალკე | 27 | 12 | 6 | 9 | 46-43 | 42 |
| 5. აინტრახტი | 27 | 12 | 6 | 9 | 42-39 | 42 |
| 6. მაინცი | 27 | 10 | 9 | 8 | 34-30 | 39 |
| 7. ფრაიბურგი | 27 | 10 | 9 | 8 | 35-33 | 39 |
| 8. გლადბახი | 27 | 9 | 11 | 7 | 35-37 | 38 |
| 9. ჰამბურგი | 27 | 11 | 5 | 11 | 32-43 | 38 |
| 10. ჰანოვერი | 27 | 11 | 4 | 12 | 49-46 | 37 |
| 11. ნიურნბერგი | 27 | 8 | 11 | 8 | 31-34 | 35 |
| 12. ვოლფსბურგი | 27 | 8 | 8 | 11 | 32-42 | 32 |
| 13. შტუტგარტი | 27 | 9 | 5 | 13 | 29-46 | 32 |
| 14. ვერდერი | 27 | 8 | 7 | 12 | 43-52 | 31 |
| 15. ფორტუნა | 27 | 7 | 8 | 12 | 33-40 | 29 |
| 16. აუგსბურგი | 27 | 5 | 9 | 13 | 23-40 | 24 |
| 17. ჰოფენჰაიმი | 27 | 5 | 5 | 17 | 30-52 | 20 |
| 18. ფიურტი | 27 | 2 | 9 | 16 | 18-45 | 15 |

**ბომბარდირები:** 20 - ლევანდოვსკი (დორტმუნდი); 18 - კისლინგი (ლევერკუზენი); 15 - მანჯუკიჩი (ბაიერნი).

● იტალია. სერია A. გამოტოვებული მატჩი

# სამპა უტევდა, ინტერი იტანდა


როდრიგო პალასიომ დუბლი შეასრულა

**ძლიერი** წვიმის გამო გადადებული „სამპდორია“-“ინტერის“ მატჩი ოთხშაბათს გაიმართა და ამით, XXIX ტური დასრულდა. მილანურმა გრანდმა გენუაში ორი უპასუხო ბურთი გაუტანა მეტოქეს და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა...

## თამაში

მატჩი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და ეს სტატისტიკაზეც შესაბამისად აისახა. „სამპდორიას“ ფეხბურთელებმა 17-ჯერ დაარტყეს მეტოქის კარის მიმართულებით და ეს მაშინ, როდესაც სტუმრებმა მხოლოდ 8-ჯერ სცადეს მეტოქის კარის აღება. ბურთიც მეტწილად სტუმართა ნახევარზე იყო და მოკლედ, არათუ, ტერიტორიულ, სათამაშო უპირატესობასაც გენუელები ფლობდნენ.

თამაში ხეირიანად დაწყებული არ იყო, როდესაც **ნიკოლა სანსონე** მილანელთა კარს დაემუქრა და რომ არა **სამირ ჰანდანოვიჩის** შესანიშნავი რეაქცია, ანგარიში გაიხსნებოდა. იმავე სანსონეს აქტიურობის შემდეგ, მასპინძლებს სამჯერ შეეძლოთ გატანა, მაგრამ ჯერ **მუსტაფიმ** ვერ ივარგა დამაგვირგვინებელ ფაზაში, შემდეგ **დე სილვესტრიმ** და **კრსტიჩიჩმა** შესცოდეს. მილანელებმა გენუელთა შტურმს ერთი მეტად სახიფათო იერიშით უპასუხეს, როდესაც **როდრიგო პალასიო** დარჩა კიპერთან პირისპირ, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. ტაიმის მიწურულს, პალასიომ მაინც გააკეთა თავისი საქმე – მარცხენა ფრთიდან, **პერეირას** ჩაწოდებულს დაუხვდა და თავური დარტყმით ბურთი შორეულ კუთხეში მოათავსა, 0:1.

მეორე ტაიმი მასპინძელთა იერიშებით დაიწყო და ბოლომდე ასევე გაგრძელდა... ქებათა ქება სამირ ჰანდანოვიჩს, რომელმაც ერთი-მეორეზე რთული ბურთები მოიგერია. გენუელები ბევრჯერ იყვნენ გატანასთან ახლოს, მაგრამ ბოლო მომენტში რაღაც აკლდებოდათ. თამაშის დასრულებამდე ბევრი აღარ იყო დარჩენილი, როდესაც პალასიომ თამაში თავის თავზე აიღო, რამდენიმე მცველს აუარა გვერდი და ბურთი კარის ბადეში გაახვია, 0:2. მოკლედ, პალასიომ დუბლი შეასრულა და კიდევ ერთხელ ულიდერა თავის გუნდს.

## კასანოს დაბრუნება

განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა **ანტონიო კასანო**, რომელიც ყოფილ გუნდს დაუპირისპირდა. „სამპდორიას“ ტიფოზებმა კასანტა არაერთგვაროვნად მიიღეს – ზოგმა ტაში დაუკრა, ზოგმა უსტვინა, ზოგმა კი უხამსი ბანერები გამოკიდა... მოკლედ, ანტონიოს ცოტ-ცოტა ყველაფერი ერგო და ნამატჩევს დაბნეული ჩანდა:

*„მადლობა ყველას, ვინც ტაშით შემეგება და იმათაც, ვინც დამისტვინა. „სამპდორია“ ყოველთვის ჩემს გულში იქნება და ამ გუნდს ყოველთვის ვუგულშემატკივრებ. არ ვიცოდი, როგორ დამხვდებოდნენ გულშემატკივრები და სიმართლე გითხრათ, არც ის ვიცი, როგორ დამხვდნენ... ვიღაც მადლიერია იმით, რომ „სამპასთვის“ რაღაც გამიკეთებია, ვიღაცას კი არაფერი ახსოვს. დღეს ჩემი ფიქრები „ინტერს“ დასტრიალებს და ბედნიერი ვარ, რომ სამი ქულა ჩავიწერეთ აქტივში“.*

**ანდრეა სტრამაჩონი (ინტერის მთავარი მწვრთნელი):** *„მართალია, „ტოტენჰემთან“ და „იუვენტუსთან“ სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ, მაგრამ იმ მატჩებშივე ჩანდა, რომ გუნდი აღმავლობის გზას დაადგა. „სამპდორიასთან“ ეს უნდა დაგვემტკიცებინა და საბედნიეროდ, ასეც მოხდა. მინდა როდრიგო პალასიო შევაქო, რომელმაც დიდებული შეხვედრა ჩაატარა. არგენტინელი მზადაა, რომ გუნდის ლიდერი გახდეს და დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მოუმატებს“.*

**ლაშა ნიკლაური**

● ევროპალიგა. 1/4 მეოთხედფინალი. I მატჩები


ტორესმა პირველი გოლი რთული მდგომარეობიდან გაიტანა

# ტორესმა ევროპალიგაზე იფეთქა

## უშანსოდ არავინ დარჩა

**ბენფიკა–ნიუკასლი 3:1**

**გოლები:** 0:1 სისე (12), 1:1 მორენო (25), 2:1 ლიმა (65), 3:1 კარდოსო (71-პენ)

**ბენფიკა (4-3-3):** არტური - ალმეიდა, ლუიზაო, გარაი, მელგარეჟო - ჯონი, მატიჩი, გომეში (61. პერესი) - მორენო (61. ლიმა), კარდოსო (77. მ. პერეირა), გაიტანი.

**ნიუკასლი (4-2-3-1):** კრული - სიმპსონი (83. გოსლინგი), ტეილორი, იანგა-მბივა, სანტონი - პერჩი (62. ანიტა), კაბაი - გუტიერესი, სისოკო, მარვო (80. ამეობი) - სისე.

**ჩელსი–რუბინი 3:1**

**გოლები:** 1:0 ტორესი (16), 2:0 მოზესი (32), 2:1 ნატხო (41-პენ), 3:1 ტორესი (70)

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ასპილიკუეტა, ტერი, დ. ლუისი, ბერტრანდი - ლამპარდი, რამირესი - მოზესი (65. აზარი), მატა (78. ოსკარი), ბენაიუნი (83. მარინი) - ტორესი.

**რუბინი (4-4-1-1):** რიჟიკოვი - კალეშინი, შარონოვი, ნავასი, ანსალდი - კუზმინი (82. კასაევი), ნატხო, ორბაისი, კარადენიზი - ერემენკო - დიადიუნი (46. რონდონი).

**ფენერბაჩე–ლაციო 2:0**

**გოლები:** 1:0 ვებო (78-პენ), 2:0 კუიტი (91)

**ფენერბაჰჩე (4-2-3-1):** დემირელი - გონული, იობო, კორკმაზი, ციგლერი - მ. თოფალი (71. ერკინი), მეირელეში - კუიტი, ბარონი (75. უჩანი), სოუ (86. მ. თოფუზი) - ვებო.

**ლაციო (4-4-1-1):** მარკეტი - ჩიანი, კანა, ონაზი, რადუ - გონსალესი, კანდრევა, ერნანესი (86. მაური), ლულიჩი - ედერსონი (62. ლედესმა) - კოზაკი (72. კლოზე).

**გაძევება:** ონაზი (47)

**ტოტენჰემი–ბაზელი 2:2**

**გოლები:** 0:1 შტოკერი (30), 0:2 ფ. ფრაი (34), 1:2 ადებაიორი (40), 2:2 სიგურდსონი (58)

**ტოტენჰემი (4-2-3-1):** ფრიდელი - ნოუტონი, გალასი, ვერტონგენი, ასუ-ეკოტო (58. დოუსონი) - დემბელე, პარკერი - ლენონი (24. სიგურდსონი), ბეილი, ჰოლტბი (63. დემპსი) - ადებაიორი.

**ბაზელი (4-2-3-1):** ზომერი - შტაინჰოფერი, შარი, დრაგოვიჩი, ვოზერი - ელ ელნენი, დიე (66. კაბრალი) - სალაჰი (84. დეგენი), ფ. ფრაი, შტოკერი - შტრელერი (71. ზუა).

### საპასუხო მატჩები 11 აპრილს

**წუხელ**, ლონდონში, ლისაბონში და სტამბოლში ევროპალიგის პირველი მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. ესპანელ **ფერნანდო ტორესს** ბევრს აკრიტიკებენ, ხშირად სამართლიანადაც, თუმცა 29 წლის ფორვარდს იმდენი კლასი კიდევ შემორჩა, რომ ევროპალიგაზე გაიბრწყინოს, მან დუბლი შეასრულა ყაზანის „რუბინის“ კარში და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „ჩელსის“ კარგი შანსი აქვს ევროპალიგის ნახევარფინალში გავიდეს - 3:1.

უხვგოლიანი გამოდგა მეორე ლონდონური მატჩიც, სადაც „ტოტენჰემმა“ ვერაფრით გატეხა „ბაზელი“, თუმცა 0:2-ის შემდეგ გათანაბრება მაინც შეძლო - 2:2. საოცარია, მაგრამ ფაქტია - **გარეთ ბეილმა** ითამაშა და მის ანგარიშზე არც გოლია და არც საგოლე პასი.

სტამბოლში „ფენერბაჰჩემ“ 10-კაციან „ლაციოს“ პენალტის ნიშნულიდან გაუტანა (**პიერ ვებო**). იტალიელებს ვერც ევროპალიგის ბომბარდირმა **კოზაკმა** უშველა და ვერც მისმა შემცვლელმა **კლოზემ**. ბოლოს თურქთა ჰოლანდიელმა შემტევმა **დირკ კუიტმაც** გაიტანა ძალზე მნიშვნელოვანი გოლი - 2:0.

ლისაბონში კი „ბენფიკამ“, რომელიც ჯერ აგებდა **მორენოს, ლიმას** და **კარდოსოს** გოლებით „ნიუკასლ იუნაიტედი“ დაამარცხა - 3:1.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნახევარფინალისტის ვინაობა ჯერ არც ერთ წყვილში არ გარკვეულა და საპასუხო დაძაბული ბატალიები გველის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ტოტენჰემის კარში პირველი გოლი შტოკერმა გაიტანა

● კალიარი

# კალიარი კუნძულ სარდინიიდან აიბარგა

**საინტერესო** ინფორმაცია გავრცელდა გუშინ იტალიურ სპორტულ პრესაში, რომლის მიხედვითაც 14 აპრილიდან „კალიარი“ საშინაო თამაშებს პატარა ქალაქ რიეტიში ჩაატარებს. „სტადიო ჩენტრე დ'იტალია“ 10 000 გულშემატკივარს იტევს და მზადაა, „როსობლუს“ თამაშებს უმასპინძლოს. საგულისხმოა, რომ ქალაქი რიეტი სარდინიაზე არ მდებარეობს, შუაგულ იტალიაშია, რაც იმას ნიშნავს, რომ „კალიარის“ ერთგული გულშემატკივარი მოაკლდება.

„კალიარის“ მესვეურთა ამგვარ გადაწყვეტილებას გრძელი ისტორია უდევს საფუძვლად – უკვე დიდი ხანია სარდინიული კლუბის მესვეურები ქალაქ კალიარის მუნიციპალიტეტთან სტადიონის საიჯარო თანხაზე ვერ თანხმდებიან, რასაც შემდეგ არენის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემებიც დაერთო. მოკლედ, „საფეხბურთო კლუბი კალიარი“ თავის ქალაქს გაებუტა და საშინაო თამაშებს რიეტიში ჩაატარებს.

**ლაშა ნიკლაური**


სტადიო ჩენტრე დ'იტალია

● ბარსელონა

# სანდრო როსელმა რომის პაპი დაპატიჟა

„**ბარსელონას**“ პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** ახლახან არჩეული რომის პაპი **ფრანცისკ I** გუნდის თამაშზე მიიწვია. კლუბის ბოსმა წერილი მისწერა პაპს, რომელშიც ვკითხულობთ: *„გილოცავთ კათოლიკური ეკლესიის ტახტზე არჩევას. მე, როგორც კლუბის პრეზიდენტს დიდი სურვილი მაქვს, თქვენთან ურთიერთობის. ჩემი წინაპრები, დედის ხაზიდან, იყვნენ არგენტინელები თქვენსავით და მე ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა. მსურს, მოგიწვიოთ „კამპ ნოუზე“, როცა ეს თქვენთვის იქნება ხელსაყრელი. მსურს, ნახოთ ის ფეხბურთი რომელსაც „ბარსელონა“ აჩვენებს, რომლის შემადგენლობაში თქვენი თანამემამულეები თამაშობენ ლიონელ მესი და ხავიერ მასკერანო“.*

## შტარკს უჩივლებენ

„ბარსელონა“ ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური მატჩის მსაჯობით ძალიან უკმაყოფილოა და კლუბის ხელმძღვანელობა უეფაში ჩივილს აპირებს.

ბარსელონელებს გერმანელი რეფერი **ვოლფგანგ შტარკის** მიმართ შემდეგი პრეტენზიები აქვთ: მან არ აჩვენა **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** ყვითელი ბარათი, რომელსაც შვედი ყველა წესის მიხედვით აუცილებლად იმსახურებდა; მან მოუწოდა **ჟორდი ალბას** და **ხავიერ მასკერანოს** მოედანი დაეტოვებინათ, როცა „ბარსა“ კუთხურისგან იცავდა თავს - ასეთი მოთხოვნა კი ფეხბურთის წესებში არ წერია. დაბოლოს, მსაჯმა აშკარა თამაშგარედან გატანილი ბურთი ჩათვალა „ბარსელონას“ კარში.

„ბარსელონას“ დირექტორთა საბჭო შეიკრიბება და იქ გადაწყდება, იჩივლებს თუ არა „ბარსა“ უეფაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

უცხოური ფეხბურთი

ტრავმა და ვარსკვლავი

# როგორ გახდა ლიონელ მესი ტრავმაგამძლე

## რჩევა ჯანო ანანიძეს: დაუკავშირდეს მესის










### MARCA: „ლეო მესი, კაუჩუკის ადამიანი“

**ლიონელ მესის** „მარკამ“ მცირე სტატია უძღვნა, რომელშიც გაზეთი განიხილავს, თუ როგორ გახდა ერთ დროს არგენტინელის ყველაზე სუსტი მხარე მისი სიძლიერე. შეგახსენებთ, რომ ახლახან ლეო მესიმ „პარი სენ-ჟერმენთან“ მატჩში ტრავმა მიიღო. მიუხედავად ამისა, ტრავმიანმა არგენტინელმა გოლიც კი გაიტანა და **ტიტო ვილანოვამ** ის მხოლოდ შესვენებაზე შეცვალა.

ტესტირებამდე ბევრს ეშინოდა, რომ მესის საპასუხო მატჩის გამოტოვება მოუწევდა და შეიძლება კიდევ უფრო მეტისაც, თუმცა ტრავმა არ აღმოჩნდა ასეთი სერიოზული - ის მხოლოდ „მალიორკასთან“ მატჩს გამოტოვებს ამ უქმეებზე. ისიც იმის გამო, რომ „ბარსელონას“ ექიმები და მწვრთნელები თავიანთ სუპერვარსკვლავს უფრთხილდებიან!

მოკლედ, 25 წლის ლეო „კაუჩუკის კაცი“ გახდა - მისი ორგანიზმი სერიოზულ ტრავმას აღარ იკარებს.

### ლეო და უიფალუში

ბოლო შედარებით სერიოზული ტრავმა, რომელიც გვახსენდება, ლეომ 2010 წლის სექტემბერში მიიღო. მაშინ მის წინააღმდეგ საშინლად იუხეშა „ატლეტიკოს“ მცველმა **ტომაშ უიფალუშიმ** (ახლა უიფალუში „გალათასარაიში“ თამაშობს და თავად არის ტრავმირებული). მაშინ უიფალუშიმ საშინლად ჩაარტყა არგენტინელს კოჭში და მიუხედავად ეპიზოდის სერიოზულობისა, ლეომ საბოლოოდ მხოლოდ 10 დღე გამოტოვა. ამის მერე კი მესი ძალიან ხშირად იღებდა დარტყმას ფეხში თუ კორპუსში, მაგრამ ისეთი სერიოზული არაფერი ყოფილა, რომ არგენტინელს თამაში გამოეტოვებინა.

### ლეო მესი ახლა

ლა ლიგის სეზონში მესიმ სულ რაღაც 119 წუთი გამოტოვა, თანაც არა ტრავმის გამო. არ უთამაშია „კოპა დელ რეიზე“ „ალავესისა“ და „კორდობას“ წინააღმდეგ, მაგრამ ესეც იმიტომ, რომ მწვრთნელმა როტაციას მიმართა. ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში მან 105 წუთი გამოტოვა და აქედან მხოლოდ 45 წუთი პსჟ-სთან მოდის ტრავმაზე.

„ბარსელონა“-“მალიორკა“ პირველი მატჩი იქნება ამ სეზონში, რომელსაც ლეო მესი გამოტოვებს. სამწუხაროა, რომ ამის გამო ლეო თავისი შესანიშნავი რეკორდის - ზედიზედ 19 მატჩში გოლის გატანა - კიდევ უფრო გაზრდას ველარ მოახერხებს.

ბოლოს მესიმ ლა ლიგაში არ ითამაშა გასული სეზონის 25-ე ტურში ხიხონის „სპორტინგის“ წინააღმდეგ - მას 5 ყვითელი ბარათი დაუგროვდა და დისკვალიფიცირებული იყო.

### ლეო მესი ადრე

ეს ყველაფერი კი საშინელ წინააღმდეგობაშია ლეოს ადრინდელ კარიერასთან. ალბათ, ყველამ იცის, რომ ბავშვობაში არგენტინელი ძალიან სუსტი იყო და მისი საფეხბურთო კარიერაც კი საფრთხის ქვეშ იდგა. შემდეგ ლეოს ტალანტმა გზა მაინც გაიკვალა „ბარსას“ პირველ გუნდში, მაგრამ მისი პირველი მტერი გახდა ხშირი ტრავმიანობა. ტექნიკურ არგენტინელს ხშირად ურტყამდნენ ფეხებში და ამის გამო ლეო და „ბარსელონა“ ძალიან ზარალდებოდა.

ადრეულ კარიერაში მან მხოლოდ სამთავა კუნთის სამი სერიოზული ტრავმა მიიღო (2005-2008 წლებში). საერთო ჯამში, ამის გამო მან 5 თვემდე დაისვენა. 2006 წელს მან მარცხენა ფეხზე სხვა ტრავმა მიიღო, რის გამოც სამი თვე გამოტოვა. მოკლედ, მეოთხედზე მეტ დროს, პირველი სამი სეზონის განმავლობაში ლეო ლაზარეთში ატარებდა.

### ქართული პარალელი: მესი და ჯანო

ამასთან დაკავშირებით კი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური და პერსპექტიული ფეხბურთელის, 21 წლის **ჯანო ანანიძის** ტრავმიანობა გაგვახსენდა და პარალელის გავლებაც შესაძლებელია - ლეოს ახალგაზრდული კარიერაც დახუნძლული იყო ტრავმებით, როგორც ახლა ანანიძისაა.

თუმცა „მარკას“ სტატია ძირითადად მხოლოდ ფაქტებს გვთავაზობს და თუ როგორ გაუმკლავდა ამ სენს და როგორ აქცია ლეო მესიმ სუსტი მხარე ძლიერად, ჯანომ, ალბათ, თავად არგენტინელისგან (ან მისი ექიმებისგან) უნდა შეიტყოს.

სხვათა შორის, ჯანო ანანიძემ ახლახან მოირჩინა მორიგი ტრავმა და ვარჯიშსაც შეუდგა

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ჯანომ ვარჯიში განაახლა



საგაზაფხულო აქცია

მაცივრები თვითღირებულებით...

+საჩუქარი 500 ლარზე მეტ შენაძენზე...

# ელექტრონიკა

დაბალი ფასების ტერიტორია

აქცია ძალაშია 2013 წლის 1 აპრილიდან 14 აპრილის ჩათვლით

## კვირის შეთავაზება:

NORD DX-271
399
256 ლიტრი
A კლასი
თეთრი
141 / 57 / 61

INDESIT SB 15020
599
243 ლიტრი
თეთრი
150 / 60 / 67

SAMSUNG RL33SCSW3
749
286 ლიტრი
A კლასი
მშრალი NF
თეთრი
178 / 60 / 68

Hotpoint ARISTON ENTYH 19221FWL
1349
415 ლიტრი
A+ კლასი
მშრალი FNF
დისპლეით
უჟანგავი ფოლადი
190 / 70 / 72

100 დასახელების მაცივარი

| | | |
|---|---|---|
| სარეცხი მანქანები | 399 ლარიდან | 120 დასახელების სარეცხი მანქანა |
| გაზქურები | 349 ლარიდან | 100 დასახელების გაზქურა |
| ტელევიზორები | 179 ლარიდან | 100 დასახელების LCD, LED და პლაზმური ტელევიზორი |
| მტვერსასრუტები | 99 ლარიდან | 50 დასახელების მტვერსასრუტი |
| მიკროტალღური ღუმელები | 129 ლარიდან | 30 დასახელების მიკროტალღური ღუმელი |
| კონდინციონერები | 529 ლარიდან | 10 დასახელების კონდინციონერი |

- საბურთალო, ვაჟა-ფშაველას 4, ტელ: 2-359-490
- საბურთალო, ვაჟა-ფშაველას 39. ტელ: 2-236-008
- დიღომი, ბელიაშვილის 8. ტელ: 2-518-815
- სავ. ცენტრი "მეგალაინი", პავ. 87-89. ტელ: 2-478-672
- ისანი, ბაზრობის მიმდ. ტერიტორია, ტელ: 2-478-676
- რუსთავი, შარტავას გამზ. №4. ტელ: 2-146-765
- გორი, გურამიშვილის №1. ტელ: 0-370-224-257
- ქუთაისი, რუსთაველის 97/99. ტელ: 0-431-243-482
- თელავი. ჭავჭავაძის №52. ტელ: 2-238-662
- ბათუმი, ჭავჭავაძის 21. ტელ: 0-422-293-179
- ქობულეთი, აღმაშენებლის 16, ტელ: 0-426-261-033
- ოზურგეთი, ჭავჭავაძის 14, ტელ: 0-422-293-148
- ჩხოროწყუ, მშვიდობის 2, ტელ: 7-90-970-555

და კიდევ, საუკეთესო ხარისხის 1000-ზე მეტი დასახელების საქონელი

მობრძანდით და შეიძინეთ
დაბალ ფასში მაცივარი...
თანაც მოგემსახურებათ
კუხლევან და ამირანი....

SAMSUNG TOSHIBA SONY Hotpoint ARISTON Panasonic THOMSON PHILIPS TEFAL INDESIT Rowenta Moulinex

ელექტრონიკა
დაბალი ფასების ტერიტორია

ტელ: 2 518 815

www.electronika.ge

www.facebook.com\electronika.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# სასარგებლო რჩევები კარლოს ტევესს


კარლოს ტევესი

მას შემდეგ, რაც „მანჩესტერ სიტის“ თავდამსხმელს, 29 წლის **კარლოს ტევესს** სასამართლომ ავტომობილის მართვის წესის დარღვევისა და სხვა წვრილმანი დარღვევებისთვის 250 საათი საზოგადოებისთვის საჭირო სამუშაოების შესრულება დაავალა, Eurosport.com-მა არგენტინელს რჩევების მთელი წყება მისცა, თუ როგორ შეიძლება ამ დროის სასარგებლოდ გამოყენება. მათგან ნაწილი შეიძლება სერიოზულად ალიქვა, ნაწილი კი მხოლოდ ხუმრობაა. ჩვენ იმ რჩევებს გთავაზობთ, რომელსაც კარლოსის ცხოვრების ღრმა ცოდნა არ სჭირდება და რასაც მკითხველში დამატებითი შეკითხვები არ მოჰყვება.

**1.** წაიყვანოს „მანჩესტერ სიტის“ ფანები გოლფში შოტლანდიის ღია ჩემპიონატზე, სადაც მათ ალჭურვილობის ტარების საშუალებას მისცემს.

**2.** გახდეს მშვიდობის მოყვარული და ჩაისა და ერთი პარტია ბინგოს თამაშზე **ალექს ფერგიუსონი** დაპატიჟოს.

**3.** ეწვიოს „ეტიჰადთან“ ახლოს რომელიმე დასასვენებელ პარკს და აკრიფოს ის ნაგავი, რომელსაც ფანები **რიო ფერდინანდს** ესვრიან.

**4.** ესტუმროს სკოლას და ბავშვებს აუხსნას, როგორ უნდა გაანაწილო ფული, მით უფრო, როცა შენი ხელფასი კვირაში 198 ათასი ფუნტია.

**5.** შეეცადოს, როგორმე ინგლისური ისწავლოს და სცადოს, აუხსნას ადამიანებს, როგორ შეიძლება ქვეყანაში დაახლოებით 10 წელი იცხოვრო და ისევ ესპანურად ილაპარაკო, მათ შორის სასამართლოში.

**6.** ააშენოს უპატრონო ძაღლების თავშესაფარი და მის მკვიდრებს მოუყვეს სამწუხარო ამბავი, როგორ არ ათამაშა ერთხელ **რობერტო მანჩინიმ** ის ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში.

**7.** მოინახულოს უახლოესი ციხე და აუხსნას პატიმრებს, თუ რა ძნელია იცხოვრო იმ ადგილას, სადაც კვირაში 198 ათას ფუნტს გიხდიან, მაგრამ მაინც ძალიან არ გინდა იქ გაჩერება.

**8.** ინგლისური ენის მოკლე კურსის გავლის შემდეგ სცადოს ჯგუფ „ოაზისის“ ყოფილ წევრ **ლიამ გალაჰერთან** დალაპარაკება. უკანასკნელი ამტკიცებს, რომ სპეციფიკურ მანკუნიანურ დიალექტზე მეტყველებს.

**8.** დარწმუნდეს, რომ ამჟამად მსოფლიოში ყველა პოპულარული პლაჟი დაკავებულია და მანჩესტერელებს სკვერების გალამაზებაში დაეხმაროს.

**10.** დაეხმაროს მანჩესტერის მოსახლეობას და გააერთიანოს ერთი დროშის ქვეშ, თანაც განაგრძოს მუშაობა ანტისოციალური ქმედებების აღმოსაფხვრელად.

**11.** დაადგეს **ერიკ კანტონას** გზას და „სიტის“ ბაზაზე პატარა ბავშვებს ფეხბურთის გაკვეთილები ჩაუტაროს. თავის დროზე ფრანგს 120 საათი ჰქონდა მისჯილი. 250 საათში კარლოსმა შეიძლება ახალი **ბექჰემი** და **სქოულზიც** აღმოაჩინოს.

სავარაუდო ტრანსფერი

# ნიუკასლის სერიოზული არგუმენტი

სეზონის დასრულების შემდეგ „ვესტ ჰემის“ 24 წლის თავდამსხმელი **ენდი კეროლი** „ლივერპულში“ დაბრუნებას აპირებს. ის იმედს არ კარგავს, რომ შეძლებს და „ენფილდზე“ ყველაფერს თავიდან დაიწყებს. თუმცა „წითლების“ მთავარი მწვრთნელი ჯერაც **ბრენდან როჯერსია**, ვინც აყლაყუდა ფორვარდს ზაფხულზე გულწრფელად უთხრა, რომ თამაშის იმედი არ უნდა ჰქონოდა და ჯობდა, ახალი გუნდი მოეძებნა. მერსისაიდელები კეროლში 20 მილიონ ფუნტს ითხოვდნენ. რეგრესის გზაზე შემდგარ ფეხბურთელში ამხელა თანხის გადახდა ჭკუაში არავის დაუჯდა. ამჯერად ფასმა 3 მილიონით დაიკლო. ვნახოთ, 17 მილიონს მაინც თუ გადაიხდის ვინმე.

ბრენდან როჯერსი კეროლთან პირისპირ შეხვედრას გეგმავს. ყველასთვის ცხადია, რომ „აპტონ პარკზე“ გატარებულმა ულიმღამო სეზონმა (5 გოლი 19 თამაშში) ფეხბურთელის აქტივები დიდად ვერ გაზარდა. იმის გათვალისწინებით, რომ „ლივერპულს“ ახლა **დენიელ სტარიჯიც** ჰყავს, ენდის პერსპექტივას მიზერულსაც ველარ ვუწოდებთ. კეროლისთვის მაღალ ანაზღაურებადი რეზერვისტის როლი კლუბს ხელს არ აძლევს და არ გვგონია, თავად ფეხბურთელს ემეტებოდეს ასე საკუთარი თავი. მით უფრო, რომ ის **როი ჰოჯსონის** გუნდთან ერთად ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე გეგმავს გამგზავრებას. „ვესტ ჰემის“ გარდა, კეროლის შეძენას ზაფხულზე „ნიუკასლიც“ შეეცდება. **ტაინსაიდელებს** დედაქალაქელებისგან განსხვავებით სერიოზული არგუმენტი აქვთ. ამ არგუმენტს **ჰატემ ბენ არფა** ჰქვია. როჯერსი ხომ 26 წლის ფრანგზე დიდი ხანია ოცნებობს.


ენდი კეროლი ვერც ვესტ ჰემში ათამაშდა ისე, მისგან რომ ელოდნენ

მანჩესტერ სიტი

# იაიას ახალი კონტრაქტი



იაია ტურემ მანჩესტერ სიტისთან ახალი ხელშეკრულება 2017 წლამდე გააფორმა

„სანის“ ინფორმაციით, „მანჩესტერ სიტის“ 29 წლის ნახევარმცველმა **იაია ტურემ** კლუბთან ახალი 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმად, კვირაში მისი ანაზღაურება 220 ათასი ფუნტი (260 ათასი ევრო) იქნება. 2017 წლის ზაფხულამდე „ქალაქელებს“ ივუარელის შენახვა 42 მილიონი ფუნტი (49,5 მლნ ევრო) დაუჯდებათ. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელმა და მისმა აგენტმა **დმიტრი სელიუკმა** კლუბს ულტიმატუმი წაუყენეს, თუკი თანამშრომლობის გაგრძელებაზე შეთანხმება არ შედგა, ზაფხულზე „ეტიჰადიდან“ წასვლაზე ვიფიქრებთო. ჭორმართალიც სწორედ ამის მერე აგორდა. ესპანურმა, ინგლისურმა და რუსულმა პრესამ დებატები გააჩაღეს, სად უფრო რეალური იყო იაიას წასვლა, „რეალსა“, „ჩელსისა“ თუ „ანჟიში“. საბოლოოდ კი გამოვიდა, რომ ეს კამპანია, მხოლოდ და მხოლოდ „სიტის“ დაშინებას ემსახურებოდა მიზნად. რამდენიმეთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ მენეჯმენტმა პროცესი დააჩქარა და ყველაფერს წერტილი დაუსვა. ტურემ პრაქტიკულად ყველაფერი მიიღო, რასაც ითხოვდა. შეგახსენებთ, რომ ტურე „ეტიჰადზე“ 2010 წლის ივლისის შემდეგ თამაშობს. „სიტიმ“ „ბარსელონას“ მასში 24 მილიონი ევრო გადაუხადა და 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. „სიტიში“ აფრიკელმა 100-მდე მატჩი ჩაატარა, სადაც 17 გოლი გაიტანა.

ამბები

## ჩელსი დე ბრუინზე ზრუნავს



კევინ დე ბრუინი

„ჩელსი“ „გენკს“ **კევინ დე ბრუინის** ტრანსფერზე 2012 წლის იანვარში 8 მილიონ ევროდ შეუთანხმდა. ზაფხულზე კი, მიხვდა რა, რომ ფეხბურთელს სათამაშო პრაქტიკის გარეშე დარჩენა ემუქრებოდა, ის 1-წლიანი იჯარით ბრემენის „ვერდერში“ მიავლინა. კრიზისში ჩაფლულ „მუსიკოსებში“ თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას, რომ კარგად თამაშობსო, სწორედ 21 წლის ნახევარმცველია. მის პროგრესს ლონდონში თვალყურს ადევნებენ, თუმცა რას გადაწყვეტს გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი, ძნელი სათქმელია, მით უფრო, მისი ვინაობა მხოლოდ ჭორის დონეზე ვიცით. ფეხბურთელის აგენტ **პატრიკ დე კოსტერს** განუმარტეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კევინის კიდევ ერთი წლით განათხოვრება გადაწყდა, „ჩელსი“ შეეცდება, ის რაც შეიძლება ძლიერ გუნდში მოაწყოს. „ვერდერის“ გარდა მისი დამატება დორტმუნდის „ბორუსიასა“ და „ლევერკუზენს“ აქვთ განზრახული.

## ნასრი თანაგუნდელის ნაკვალევზე

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ „მანჩესტერ სიტის“ თავდამსხმელ **კარლოს ტევესს** სასამართლომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა დაავალა და ამას გარდა სოლიდურადაც დააჯარიმა. დღეს კი „ქალაქელთა“ მეორე ვარსკვლავის ბედი გაირკვა. **სამირ ნასრის**, ტევესის არ იყოს, 6 თვით აეკრძალა ავტომობილის საჭესთან დაჯდომა და საერთო ჯამში 1900 ფუნტით დაჯარიმდა, ვადაგადაცილებული ჯარიმებისა და დამატებითი საურავების დასაფარად მას 800 ფუნტის გადახდაც მოუწევს. ამ ყოველივეს მიზეზი ნასრის ბრალით მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა, ორჯერ სიჩქარის გადაჭარბება და რამდენიმე წლის წინ მართვის მოწმობის ჩამორთმევის მიუხედავად მანქანაზე დაჯდომა გახლავთ. საქმის განხილვა 2011 წლიდან დაიწყო და რიგი მიზეზების გამო 1,5 წელიწადზე მეტი ხანი გაიწელა.


სტიუარტ ესტილი

## უნიკალური შემთხვევა

„ნოტინგემ ივნინგ პოსტმა“ რამდენიმე დღის წინ უჩვეულო ინფორმაცია გაავრცელა. ძნელად წარმოსადგენია, მსგავსი რამ ინგლისის გარდა კიდევ სადმე მოხდეს. „ნოტინგემ ფორესტის“ 67 წლის გულშემატკივარმა **სტიუარტ ესტილმა** 1-ელ აპრილს, „ბარნლისთან“ გასვლით შეხვედრაზე დასწრება ვერ მოახერხა. მისთვის ეს პირველი შემთხვევა იყო უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში. სტიუარტი ზედიზედ 1786 თამაშს დაესწრო. გაცდენის მიზეზი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება იყო. ექიმებმა მას ფეხის თითზე დაწყებული განგრენის გამო ოპერაცია გაუკეთეს. ესტილი „მეტყევეთა“ ფანი 1956 წლის ნოემბრის შემდეგ არის. 1960-დან მოყოლებული კი ის რეგულარულად ესწრება ფეხბურთს. „ბარნლიმდე“ მან „ნოტინგემის“ უკანასკნელი შეხვედრა საკუთარი ქორწილის გამო 1973 წელს გამოტოვა.

## ლამბერტს ლიდერები სჭირდება

„ასტონ ვილას“ მთავარმა მწვრთნელმა **პოლ ლამბერტმა** განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, მომდევნო სეზონისთვის გუნდის წამყვანი ფეხბურთელები შეინარჩუნოს. მათ შორის **გაბრიელ აგბონლაჰორი, შარლ ნზოგბია, კრისტიან ბენტეკე** და **ანდრეას ვაიმანი**. შოტლანდიელმა განსაკუთრებით აგბონლაჰორს გაუსვა ხაზი, რადგან 26 წლის ფეხბურთელმა ამ ბოლო დროს კარგი ფორმა აკრიფა. გაბის გადაბირების მსურველებზე კონკრეტული ინფორმაცია არ ვრცელდება, მაგრამ იოლი წარმოსადგენია, რამხელა რიგი დადგება, თუკი მან „ვილა პარკიდან“ წასვლის სურვილი გამოთქვა. თამამად შეიძლება იმის თქმაც, რომ ამ ზაფხულს არც დანარჩენ სამს ექნება მწირი შეთავაზებები. სანამ ლამბერტი ლიდერების პრობლემას მოაგვარებს, იქამდე ბირმინგემელებმა პრემიერლიგაში უნდა შეინარჩუნონ ადგილი. წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი მაღალი კლასის ფეხბურთელებისგან მთლიანად დაიცლება. ასეთი კი ლამბერტის გუნდში ძალიან ბევრია.

## ფერგიუსონი შეშფოთებულია



რობინ ვან პერსი

2013 წელს **რობინ ვან პერსის** ჯერჯერობით საქმეები ცუდად მისდის. სანაკრებო შეხვედრებს თუ არა ჩავთვლით, 29 წლის ჰოლანდიელმა საკლუბო დონეზე თავი ვერაფრით გამოიჩინა. 20 დეკემბრის შემდეგ მას პრემიერლიგაში ერთადერთი გოლი აქვს გატანილი. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ მას აღარც საგოლე პასები გამოსდის. **ალექს ფერგიუსონი** „ეშმაკების“ საუკეთესო ბომბარდირის მდგომარეობით შეშფოთებულია. მით უფრო, რომ ორიოდე დღეში „მანჩესტერ სიტისთან“ პრინციპული დაპირისპირება ელის. აი, რას ამბობს შოტლანდიელი: „იმისთვის, რომ ადეკვატურად შევაფასოთ ვან პერსის ფიზიკური კონდიციები, გარკვეული ტესტების ჩატარებაა საჭირო. რუნის ფიზიკურ მდგომარეობაზე არ ვნერვიულობ, რადგან ის სეზონის ბოლომდე რამდენიმე ფრონტზე ბრძოლას დიდი ხანია შეჩვეულია. რობინს არ მგონია, „არსენალში“ ამხელა დატვირთვა ჰქონოდა. დასკვნაც ამისთვის მჭირდება, რათა გავიგო, რა დოზით დავტვირთო ფეხბურთელი“.

## ესიენი ლონდონში ბრუნდება

„ჩელსიმ“ „რეალში“ **მიკაელ ესიენის** ერთწლიანი იჯარა ყველასთვის მოულოდნელად გადაწყვიტა. 30 წლის ფეხბურთელმა ვერ მოახერხა ძირითად შემადგენლობაში მყარად ფეხის მოკიდება. შესაბამისად, ძნელია მტკიცება, სურთ თუ არა მადრიდელებს ფეხბურთელის შენარჩუნება. ამასობაში, რაკი **ჟოზე მოურინიოს** „სტემფორდ ბრიჯზე“ დაბრუნებაზე სერიოზული საუბრები წავიდა, განელმა თავად გადაწყვიტა, რომ მისთვის უმჯობესი იქნება, თუკი თავადაც „ჩელსიში“ დაბრუნდება. ფეხბურთელს ლონდონელებთან ხელშეკრულება 2015 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. „ჩემს გეგმებში არაფერი შეცვლილა. კონტრაქტი „ჩელსისთან“ მაკავშირებს და მადრიდში მხოლოდ იჯარით ვარ. ლონდონში რთული სეზონი გადაიტანეს. მომდევნოდან კი უფრო მეტი ამბიცია გვექნება ტიტულების მოსაგებად. თუმცა ასოციაციის თასზე წელსაც შეიძლება წარმატების მიღწევა,“ – აცხადებს ესიენი.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● წყალბურთი

# ევროპისაკენ წარმატებული სტარტით

## ქართველმა წყალბურთელებმა ბრიტანელებს მეოთხედ მოუგეს

ოთხი წლის წინათ შვეიცარიულ ლუგანოში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრებმა დიდი ბრიტანეთის გუნდს 10:9 აჯობა. 2010 წელს ჩვენებმა თბილისის თასზე სძლიეს კუნძულელებს - 10:7, შარშანწინდელ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში „ჯვაროსნებმა" „ოლიმპიკის" აუზში ბრიტანელებს 9:3 მოუგეს, სტუმრად კი 8:9 დამარცხდნენ. ოთხიდან სამ შეხვედრაში მიღწეული წარმატების მიუხედავად, არ გვეგონა, რომ ჩვენი წყალბურთელები 2014 წლის კონტინენტის პირველობის შესარჩევი ტურნირის სტარტზე შარშანდელი ოლიმპიური თამაშების მასპინძლებს აშკარად დაჯაბნიდნენ. თუმცა ფაქტია, რომ სტუმრებმა შესვენებამდე ქართველი წყალბურთელების შეჩერება ვერ შეძლეს.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. საწყლოსნო კომპლექსი „ოლიმპიკი". 4 აპრილი

| საქართველო-დიდი ბრიტანეთი | 12:3 |
|---|---|

3:0, 6:1, 1:0, 2:2

**საქართველო:** ჭუმბურიძე, ქენქაძე, ჩიქვინიძე, რუსიშვილი, ლაითაძე (1), ელეზი, ხვედელიანი, ბალათურია (1), რურუა (კ), გეგელაშვილი (2), ყაზახიშვილი, ელაჩა (3), ცრეპულია (5), მთავარი მწვრთნელი ისელიძე, მწვრთნელი პოპოვიჩი.

**დიდი ბრიტანეთი:** სკოტი, ჯეიმსი, კარვენი (1), კინგი, სიგესი, უალერი (1), ამსტრონგი, ვინსენტი (1), პარკერი, ჩოლესილდი, რუდერი, ორეგანი, ჰოლანდი, მთავარი მწვრთნელი დანსპი.

მატჩი მასპინძლების იერიშებით დაიწყო. პირველსავე წუთზე კინგის უხეში თამაშის გამო არბიტრებმა ბრიტანელთა კარში პენალტი დანიშნეს და ცრეპულიამ ზუსტად დაარტყა. მალევე ელაჩამ და იმავე ცრეპულიამ ანგარიშში სხვაობა სამამდე გაზარდეს. მეორე პერიოდში ელაჩამ და ცრეპულიამ (ისევ პენალტით) ხუთამდე აიყვანეს ანგარიში. სწორედ ამის შემდეგ გამოფხიზლდნენ ბრიტანელები და პირველად აიღეს ჭუმბურიძის კარი, არადა, მანამდე და მერეც ჩვენმა გოლკიპერმა რამდენჯერმე იხსნა თანაგუნდელები. შესვენებამდე მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო, რაც ანგარიშშიც აისახა - 9:1.

ისელიძის შეგირდებმა მესამე-მეოთხე რვაწუთიან მონაკვეთებში ყურადღება მოადუნეს, სტუმრებს უპირატესობა დაუთმეს და კონტრთამაშის საშუალება მისცეს. მართალია, მესამე პერიოდი მასპინძლებმა 1:0 მოიგეს, მაგრამ მათს შეტევებში არ იგრძნობოდა სიმწვავე და აგრესია, ამიტომაც მეტოქე ასწრებდა დაცვის ორგანიზებას, იმატა უზუსტო დარტყმებმა. საგულისხმოა ისიც, რომ მასპინძლებმა ოთხი პერიოდის განმავლობაში რვაჯერ მიიღეს რიცხობრივი უპირატესობა და მხოლოდ ოთხჯერ მიაღწიეს წარმატებას.



მატჩის ბოლო პერიოდი, ფაქტობრივად, თანაბარ ბრძოლაში გაილია და ანგარიშიც სათანადო იყო - 2:2. საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა 12:3 გაიმარჯვა და გათამაშების ცხრილში პირველი სამი ქულა ჩაიწერა. დღეს ჩვენები სლოვაკებს დაუპირისპირდებიან, რომლებმაც გუშინ პოლონელებს სძლიეს.

| სლოვაკეთი-პოლონეთი | 11:1 |
|---|---|

4:0, 3:0, 3:1, 1:0

**სლოვაკეთი:** გოგოლა, ფამერა (3), ჯანისეკი (3), ნეტბალი, დარიკი (1), ნაგი, მოლნარი, მრავიკი (1), პრუდკა (1), პულოვიჩი (1), კრაჩი, გუირსი (1), კოსმერი. მწვრთნელი სიროტნი.

**პოლონეთი:** დიაკონოვი, რაძინკი, ბედნარეკი, კოვალევსკი, პიაპეკი, ზუმანსკი, მიჩალსკი (1), მარტინ ბარი, ლივნიჩაკი, მიხალ ბარი, ლუზაკი, ლესზეკი, ზაბლოვსკი, მწვრთნელი ქუჯავა.

როგორც ქართველებისა და ბრიტანელების მატჩში მასპინძლები მთელი თავით მაღლა იდგნენ სტუმრებზე, მეორე პაექრობაშიც მსგავსი სიტუაცია იყო - ფავორიტად მიჩნეულმა სლოვაკებმა პოლონელები დაჯაბნეს. ანგარიში დარიკმა მე-2 წუთზე გახსნა, მერე ჯანისეკმა, ფამერამ და პრუდკამ კიდევ სამი უპასუხო გოლი გაიტანეს დიაკონოვის კარში. მეორე პერიოდიც სლოვაკების უპირატესობით წარიმართა. პოლონელებმა აუზიდან მშრალად ამოსვლას მხოლოდ მესამე რვაწუთიან მონაკვეთში დააღწიეს თავი. ბოლო ორ პერიოდში სლოვაკებმა, ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობით ითამაშეს. მატჩი მაინც დიდი ანგარიშით (11:1) მოიგეს. აღსანიშნავია, რომ ფავორიტებმა თითქმის ყველა რიცხობრივი უპირატესობა გოლად აქციეს, რაზეც საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას ყურადღების გამახვილება მართებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღეს 18.30 საათზე საქართველო, სწორედ, სლოვაკეთს შეხვდება.



**დღის თამაშები**

ჩეხეთი-სლოვაკეთი (10:00)
პოლონეთი-დიდი ბრიტანეთი (11:30)
საქართველო-სლოვაკეთი (18:30)
ჩეხეთი-პოლონეთი (20:00)

ვაჟა დანელია

● ტყვიის სროლა. მსოფლიოს თასი



# სალუქვაძე ჯერჯერობით მეორეა

დაძაბული პოლიტიკური ფონის მიუხედავად, სამხრეთკორეულ ჩანჯოუში გრძელდება მსოფლიოს თასის გათამაშება ტყვიის სროლაში. ქართველებიდან **ლევან ქადაგიძემ** გუშინ უკვე დაასრულა გამოსვლა სპორტული პისტოლეტიდან სროლაში - 527 ქულით 39-ე ადგილზე გავიდა. სამწუხაროდ, ჩვენებურმა ვერ იყოჩაღა - 6 სერიიდან მხოლოდ ერთხელ დააგროვა 90 ქულა, რაც არც ისე სახარბიელო შედეგია, დანარჩენებში კი კიდევ უფრო დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა. ტურნირზე კი აზიელებმა იყოჩაღეს, ოღონდ მასპინძლები მაინც დაიჩაგრნენ - ჩემპიონი ჩინელი **ჭივეი ვანი** გახდა 192.1 ქულით (შეგახსენებთ - ფინალში შესარჩევის შედეგი ნულდება). მეორეზეც მისი თანამემამულე **ჯიაჯიე მაი** გავიდა 191.2-ით, მესამეზე - იაპონელი **ტომოუკი მაცუდა** 171.5-ით, კორეელთა იმედი **რაე იოუნ ჩოი** კი მხოლოდ მეოთხე აღმოჩნდა 149.4 ქულით. აღსანიშნავია, რომ კორეელი შესარჩევშიც მეოთხე იყო, ის ეტაპი კი მაცუდამ მოიგო.

გუშინ ამავე დისციპლინაში ჩაება ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის სამგზის ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე**, რომელმაც მხოლოდ პირველი ნახევარი, სამი სერია ჩაატარა, სწრაფ სროლებში კი მონაწილეები დღეს გამოვლენ. ჯერჯერობით ჩვენებური 295 ქულით მეორე ადგილზეა შვეიცარიელ **ჰაიდი გერბერ დიჩელმის** შემდეგ, რომელსაც ერთი ქულით ჩამორჩება. თავის მხრივ, ჩვენებურიც ასევე ერთი ქულით უსწრებს მასპინძელ **იანგმი კიმს**.

როგორც გითხარით, დღეს შეჯიბრების მეორე ნაწილიც ჩატარდება, რომელიც ფინალისტთა ოქტეტს გამოავლენს, ისინი კი მედლებს გაითამაშებენ.

ირაკლი თავაძე

● ჩოგბურთი

# ორი ნაბიჯით წინ


ოქსანა კალაშნიკოვა

თურქულ ანთალიაში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი), რომელშიც თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვაც** მონაწილეობს.

შეგახსენებთ, რომ ჩვენებურმა ზღვისპირა ქალაქის კორტებზე ზედიზედ ორი შეჯიბრება მოიგო წყვილებში ყირგიზ ქსენია პალკინასთან ერთად. ამჯერად კალაშნიკოვა მხოლოდ ერთეულთა თანრიგში მონაწილეობს და მე-5 ნომრადაა განთესილი. გუშინ მან კვარცხლბეკისკენ ორი ნაბიჯი გადადგა: სტარტზე კვალიფიკაციიდან დაწინაურებული ჩეხი კრისტინა ჰრაბალოვა დაამარცხა სამსეტიან პაექრობაში - 6:1, 5:7, 6:3, მეორე წრეში კი შვედი რებეკა პოიკაჯარვი დაჯაბნა - 6:0, 6:2. მეოთხედფინალში უკრაინელ განა როზნიხირენკოს მძლეველ (6:3, 6:2) ვიქტორია გოლუბიჩს (შვეიცარია) დაუპირისპირდება. წარმატების შემთხვევაში პეტრა კრეიშოვას და ტერეზა მარტინოვას (ორივე - ჩეხეთი) შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება. საგულისხმოა, რომ კრეიშოვამ მეორე წრეში ტურნირის რეიტინგფავორიტი ფრანგი ვიქტორია ლარიე დაამარცხა - 6:4, 4:2 (ტრავმის გამო ფრანგმა შეჯიბრება ვერ დაასრულა).

ბადის მეორე მხარეს მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: ჩანთალ სკამლოვა (სლოვაკეთი, მე-7 ნომერი) - მელის სეზერი (თურქეთი, 4), ბასაკ ერაიდნი (თურქეთი, 2) - ელენ ალგურინი (შვედეთი).

ვაჟა დანელია

● ჭადრაკი

# იყოჩაღე და ნადი საამიროებში

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება 12 და 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობები, რომლებიც შესარჩევი ტურნირებიცაა. 12-წლიანებში გამარჯვებულები არაბთა გაერთიანებულ საამიროებში მსოფლიოს პირველობაზე ითამაშებენ, ხოლო ვერცხლის მედალოსნები ჩერნოგორიის ქალაქ ბუდვაში ევროპელ თანატოლებს გაეჯიბრებიან. 20-წლიანთა ჩემპიონები თურქეთში დაგეგმილი მსოფლიოს პირველობის საგზურებს მოიპოვებენ.

12-წლიან გოგონებში სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ელენე კოსტავა მეწინავეობს. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ლილე ქორიძე, თამარ ესაძე, მაია ბეჭვაია, მარიამ წამალაშვილი, სალომე ხუცურაული და სანდრა კაპანაძე ჩამორჩებიან. ამავე ასაკის ბიჭებში ოთხმა მოჭადრაკემ მოაგროვა სამ-სამი ქულა: კოკა ბუკიამ, დავით კამკიამ, ნიკოლოზ კაჭარავამ და მათე თოდაშვილმა. 10 მოჭადრაკეს 2-2 ქულა აქვს.

20-წლიან გოგონებში გუშინ ანა შამათავამ ნატო იმნაძე დაამარცხა და 3 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. 2,5 ქულით მეორე ადგილზეა ანა კუჭავა. მერი არაბიძე, ნინო ხომერიკი, ნატო იმნაძე და ნინო გუმბარიძე 2-2 ქულით მესამე-მეექვსე ადგილებს იყოფენ. ვაჟებს ორი ლიდერი ჰყავთ - ნოდარ ლორთქიფანიძე და ზურაბ ჯავახაძე, რომლებმაც 3-3 შეხვედრა მოიგეს, ხოლო ირაკლი ბერაძემ და გიორგი სიხაშვილმა 2,5-2,5 ქულას მოუყარეს თავი.

ვაჟა დანელია


ანა შამათავა

# კეკელიძე მეოთხეზე გავიდა

ფილადელფიაში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სამი ჩვენებური ჩაება, მაგრამ **ნაზი პაიკიძემ** სამი ტურის შემდეგ შეჯიბრება მიატოვა. დიდოსტატმა **მიხეილ კეკელიძემ** ცხრა შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა და მესამე-მეექვსე ადგილები გაიყო. დამატებითი მაჩვენებლებით მე-4 ადგილი და 953 დოლარი ერგო. 7 ქულით პირველ ადგილზე (4 827 დოლარი) კუბელი ფიდელ კორალეს ხიმენესი გავიდა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილი მასპინძელმა დანიელ ნაროდიცკიმ (4 658 დოლარი) დაიკავა. მესამე იყო ინდოელი მაგეშ პანჩანატანი (ინდოეთი). 6 ქულით მე-19 ადგილით დაკმაყოფილდა დიდოსტატი **გიორგი მარგველაშვილი** (402 დოლარი). თბილისელ მოჭადრაკეს უკეთესი კოეფიციენტით გაუსწრო და მე-7 ადგილი დაიკავა ზვიად იზორიამ, რომელიც ამ ტურნირზე ამერიკის სახელით გამოდიოდა.

ვაჟა დანელია


მიხეილ კეკელიძე

# ქართული სპორტი

**ძიუდო. ნაკრები**

## შემადგენლობა გაცხადდა?

გაირკვა იმ ძიუდოისტთა ვინაობაც, რომლებსაც საქართველოს ვაჟთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემ** თურქეთიდან გერმანიაში უხმო. მოგეხსენებათ, გასულ უქმეებზე ჩვენებმა თურქულ სამსუნში „დიდ პრიზზე" იასპარეზეს და მხოლოდ **ზებედა რეხვიაშვილის** (73) ბრინჯაოს დასჯერდნენ. იქ არ უჭიდავია ნაკრების ძირითად ბირთვს, რომელიც ტურნირის დასრულების შემდეგ უზნაძემ გერმანიაში წაიყვანა საწვრთნელ კემპზე, რომელსაც სამსუნში ნამყოფი შემადგენლობიდანაც უნდა დამატებოდნენ ფალავნები. როგორც გაირკვა, უზნაძემ იმ გუნდიდან მხოლოდ ორ ათლეტს უხმო - რეხვიაშვილს და **დავით ლორიაშვილს** (100).

შეგახსენებთ, რომ თბილისიდან კემპზე 7 ძიუდოისტი წავიდა: **ამირან პაპინაშვილი** (60), **ლაშა შავდათუაშვილი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი**, **ლევან წიკლაური** (ორივე - 81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90) და **ადამ ოქრუაშვილი** (+100). ამდენად, უზნაძემ უკვე შეარჩია 9 ფალავანი და თუმცა 25-28 აპრილს ბუდაპეშტში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა ოფიციალურად არ დაუსახელებია, პრაქტიკულად, შეიძლება, ვივარაუდოთ, ვის წაიყვანს იქ. მოგეხსენებათ, ახალი წესებით გუნდში, მაქსიმუმ 9 კაცის დაყენება შეუძლია, ანუ შარშანდელისგან განსხვავებით, მხოლოდ ორ წონაში თუ წაიყვანს ორ მონაწილეს. მართალია, მას შეეძლო, რომელიმე წონაში საერთოდ არავინ ეჭიდავებინა და მის ხარჯზე მესამე კატეგორია გაემეორებინა, მაგრამ არ უღალატა ადრინდელ გადაწყვეტილებას, ყველა წონაში ჰყოლოდა მონაწილე ევროპაზე. ეტყობა, ამ პრინციპით შეაჩერა არჩევანი ლორიაშვილზე, თორემ არა გვგონია, სამსუნში მისი გამოსვლით კმაყოფილი იყოს. მით უფრო, მეორე ნომრებშიც არავინ ჰყავს ისეთი, შინ დატოვება გასძნელებოდა... მათგან ერთადერთი, ვინც ნამდვილად დაიმსახურა უნგრეთის საგზური, ლევან წიკლაურია, რომელმაც მოიგო ვარშავის ტურნირი, მანამდე კი გავიდა გერმანიის „დიდი პრიზის" ფინალში, სადაც ჭრიკიშვილთან დამარცხდა. მისი კარგი ჭიდაობა მწვრთნელმაც დააფასა და ორი დამატებითი საგზურიდან ერთი თავიდანვე უბოძა. მეორე კანდიდატად რეხვიაშვილის შერჩევაც სამართლიანი ჩანს, რადგან სხვა კონკურენტებმა შანსი ვერ გამოიყენეს. ვფიქრობთ, ამ შემადგენლობაში ცვლილება მხოლოდ რომელიმე მათგანის ტრავმის შემთხვევაში თუ მოხდება, ამისგან კი ღმერთმა ყველა დაიფაროს.

გერმანული კემპი ევროპის პირველობისთვის მზადების ბოლოსწინა ეტაპია, სადაც ჩვენები ერთობლივ ვარჯიშებში მიიღებენ მონაწილეობას, კვირის ბოლოს კი თბილისში დაბრუნდებიან და მალევე ბორჯომს მიაშურებენ დასკვნითი შეკრების გასავლელად.

**ირაკლი თავაძე**

**თავისუფალი ჭიდაობა. ტურნირის ექო**



პაველ ოლეინიკი (მარჯვნივ)

## კმაყოფილი ოლეინიკი

თბილისში ჩატარებულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატში 96 კილოგრამში, იქნებ, ბევრისთვის მოულოდნელად, მაგრამ სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვა უკრაინელმა **პაველ ოლეინიკმა**, რომელმაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იქაურ მედიასთან საკმაოდ თბილად ისაუბრა საქართველოზე და აქ გამართულ ეგზომ მაღალი რანგის ტურნირზე.

*„ჩვენ ვჭიდაობდით 10-ათასიან დარბაზში, რომელიც მუდამ სავსე იყო ხალხით, ბევრი ქომაგი მოდიოდა. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ქართველმა მაყურებელმა კარგად იცის და უყვარს ჭიდაობა. მაგალითად, როცა ჩვენი ნაკრების წევრი გია ჩიხლაძე გამოდიოდა, იმ დღეს მხოლოდ მამამისის სოფლიდან 2 ავტობუსი ჩამოვიდა საქომაგოდ. გამარჯვების შემდეგ, როცა დარბაზში დავბრუნდი, ბევრი ადამიანი მოდიოდა და მილოცავდა. ჩემპიონატს პრესაც კარგად აშუქებდა, ჭიდაობა ბევრი გაზეთის პირველ გვერდზე იყო წარმოდგენილი.*

*საქართველოც მომეწონა, ძალიან სტუმართმოყვარე ქვეყანაა საუკეთესო ადამიანებით, რომლებიც ცდილობდნენ, შეექმნათ გულწრფელი ატმოსფერო. რაკი მე პირველ დღეს ვჭიდაობდი, ორი დღით ადრე ჩავფრინდი, გუნდი კი გვიან ჩამოვიდა. თბილისში შეფუთნილი გავფრინდი, ქალაქი კი თბილად დამხვდა - 15 გრადუსი იყო სითბო. ორგანიზაციაც ასევე მომეწონა, ჩვენ ვცხოვრობდი სპორტის სასახლის გვერდით მდებარე სასტუმროში, კვება, დასვენება და სავარჯიშო პირობები უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული"* - ასე დაახასიათა ოლეინიკმა საქართველო და ევროპის ჩემპიონატი.

**ირაკლი თავაძე**

**გიხაროდენ!**

## სპორტის აკადემია განახლებული სახელით და სტატუსით

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ბიძინა ივანიშვილმა** ხელი მოაწერა მთავრობის დადგენილებას (№64, 28.03. 2013) „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნების შესახებ".

დადგენილებას საფუძვლად დაედო „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი. დადგენილებაში ვკითხულობთ: „საქართველოში სასპორტო უმაღლესი განათლების ხელშეწყობისა და ამ მხრივ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მდიდარი ტრადიციების გასაგრძელებლად:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით დაფუძნდეს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში დაწესებულება) საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.

2. დაწესებულების მიზნად განისაზღვროს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული აკადემიური უმაღლესი განათლების განხორციელება.

3. დაწესებულების სახელმწიფო კონტროლი დაევალოს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს"...

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, კანონის შესაბამისად, დაწესებულებას უსასყიდლოდ, არსებობის ვადით გადაეცემა ქ. თბილისში, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. 7-ში (ყოფილი ი. ჭავჭავაძის გამზ. 49) მდებარე უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთები და მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობები.

რექტორის არჩევამდე, დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა **ჯემალ ძაგანია**. რომელიც აღჭურვილია ხელმძღვანელის ყველა უფლება-მოვალეობით. როგორც დაწესებულების უმაღლესი თანამდებობის პირი, იგი წარმართავს დაწესებულების საქმიანობას, ამზადებს მას ავტორიზაციის გასავლელად, წარმოადგენს დაწესებულებას სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მოქმედებს დაწესებულების სახელით და ა.შ. ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

**„ლელოს" კორ.**



**თავისუფალი ჭიდაობა. მეტოქე**

## ჩაიბარებს ქართველი აზერბაიჯანის ნაკრებს?



ცოტა გასაკვირია, რომ დღის წესრიგში აზერბაიჯანის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ოლიმპიურ ჩემპიონ **საიპულა აბსაიდოვის** შეცვლის საკითხი დადგა. ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე მოპოვებულ გამარჯვებებს თავი რომ დავანებოთ, ლონდონის ოლიმპიადაზე აზერბაიჯანელებმა სულ ორი ოქრო მოიპოვეს და ორივე აბსაიდოვის შეგირდებმა - **ტოგრულ ასკეროვმა** (60) და **შარიფ შარიფოვმა** (84). ბრიტანეთში ამ გუნდის კიდევ ერთი წევრი გახდა პრიზიორი - **ხეტაგ გოზიუმოვი** (96) მესამეზე გავიდა. იმ თამაშებში ჩვენმა მეზობლებმა ჯამში 10 მედალი ირგუნეს და აქედან 3 აბსაიდოვის გუნდზე მოდის! თუმცა მწვრთნელობა ხშირად უმადური საქმეა და იქნებ ახლაც მსგავსი შემთხვევაა, ამ ამბავმა კი ჩვენი ყურადღება იმით მიიქცია, რომ აბსაიდოვის ერთ-ერთ სავარაუდო შემცვლელად საქართველოს ნაკრების ყოფილი სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენელიც განიხილება. მისივე თხოვნით, ჩვენებურის ვინაობას არ ვასახელებთ, თუმცა ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატის წინ ბაქოშიც ჩავიდა იქაური ფედერაციის მიწვევით და მოლაპარაკებათა პირველი რაუნდიც გამართა. ცხადია, ბაქოელებს ჯერ კონკრეტულად არაფერი უთქვამთ, რადგან სხვა კანდიდატებსაც განიხილავენ, თუმცა საკმაოდ გაცხრილულ სიაში ჩვენებურიც რჩება.

აბსაიდოვისთვის აზერბაიჯანში საქმიანობის მთელი ამ წლების განმავლობაში თბილისში გამართული ევროპის ჩემპიონატი იყო ერთადერთი ჩაგდებული ტურნირი, სადაც ოლიმპიური ჩემპიონების გარეშე იასპარეზა - ისინი ჯერ კიდევ ისვენებენ და განცხრომით ტკბებიან, შარიფოვმა კი უქმობით ისარგებლა და ცოლიც მოიყვანა. ლიდერთა დანაკლისის მიუხედავად, იქაური ფედერაცია უკმაყოფილო დარჩა თბილისური შედეგით - ორი ბრინჯაო (**იაშარ ალიევი**, 55 კგ, **ჯამალედდინ მაგომედოვი**, 120 კგ) და ბაქოში დაბრუნებულმა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **აჯდად ჯაფაროვმა** ინტერნეტსაიტ azerisport.com-თან საუბარში მომხდარში მწვრთნელი დაადანაშაულა. თან იქვე მიუთითა, რომ არც მის შეცვლას გამორიცხავდა. თუმცა მაინც გვგონია, რომ ეს ნაგება საბაბია, რადგან აბსაიდოვის შეცვლაზე ხმები არაოფიციალურად ჯერ კიდევ ევროტურნირამდე დაირხა და, როგორც გითხარით, ჩვენებური მოსალაპარაკებლად ევროპირველობამდე იყო ჩასული ბაქოში.

> ჩვენებური ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატის წინ ბაქოშიც ჩავიდა იქაური ფედერაციის მიწვევით და მოლაპარაკებათა პირველი რაუნდიც გამართა

ალსანიშნავია, რომ აზერბაიჯანელებმა აბსაიდოვის წინამორბედი, მოსკოვის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, დაღესტნელი ავარელი **მაგომედხან არაცილოვიც** ასე უცნაურ ვითარებაში, ერთი შეხედვით - ზეობის ჟამს შეცვალეს. უფრო სწორად, ის თავისით წავიდა ბაქოდან - ჩაალაგა ბარგი და ისე გაემგზავრა დაღესტანში, ფედერაცია არც გააფრთხილა. სარწმუნო წყაროები ამბობენ, რომ მას შეპირებული თანხა არ გადაუხადეს და ამან გაანაწყენაო. ალსანიშნავია, რომ აბსაიდოვიც დაღესტნელია, ოღონდ - კუმიკი, და არაცილოვის მეგობარი, ორივემ მოსკოვში მოიპოვა ოლიმპიური მედალი.

მოკლედ, აზერბაიჯანელებმა მიიჩნიეს, რომ დაღესტნელებში არ უმართლებთ და ახლა თვალი ქართველებსაც დაგვადგეს. თუმცა ეს შემთხვევა რომც გამოვიდეს, მაინც არ იქნება „პირველი მერცხალი", რადგან 2009 წელს იქაურ ბერძნულ-რომაულ ნაკრებს უკვე წვრთნიდა **ოთარ ტატიშვილი**.

ისე, კაცმა რომ თქვას, აზერბაიჯანელები ცოტა უცნაურად ექცევიან მწვრთნელებს - „თავისუფლებზე" უკვე გითხარით და იმავე ბერძნულ-რომაულში ტატიშვილის შემდეგ ჯერ თავისივე მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **ფარიდ მანსუროვი** ჰყავდათ, მერე - თურქი **სალეხ ბორა**, ახლა კი გუნდს ირანელი **ჯამშიდ ხაირაბადი** წვრთნის და იმასაც გაჰკრეს კბილი თბილისური ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს გამო. პრაქტიკულად, სამ წელიწადში სამი მწვრთნელი შეცვალეს, რაც ნამდვილად არაა ნორმალური ვითარება. მართალია, მანსუროვსა და ბორას არც შედეგები ჰქონდათ, მაგრამ მათი კვალიფიკაცია იმთავითვე ეჭვს იწვევდა და ამხელა ამბიციების გუნდში მიწვევაც გასაკვირი იყო. ამის მიუხედავად, გაგვიხარდება, თუ ჩვენებურს მიიწვევენ, რაც ქართული სამწვრთნელო სკოლის კიდევ ერთი აღიარება იქნება. თუმცა თავად მოლაპარაკებათა გამართვის ფაქტიც ამის დასტურია.

**ირაკლი თავაძე**

**თავისუფალი ჭიდაობა. ხარკოვის ტურნირი**

## უკრაინული წარმატება

ქართველმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ამ დღეებში წარმატებით იასპარეზეს ხარკოვში, ოვანეს სააკიანის მემორიალში. ტურნირში 7 გუნდი მონაწილეობდა, ჩვენებმა 4 მედალი მოიპოვეს - 2 ოქრო და თითო ვერცხლ-ბრინჯაო. პირველობა მოიპოვეს **ნოდარ ეგაძემ** (84) და **მამუკა კორძაიამ** (96). კორძაიას წონაში მესამე ადგილზე გავიდა **ლევან ჭუმბაშვილი**, ხოლო მძიმეწონოსანი **არჩილ დავითაძე** მხოლოდ ფინალში დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა.

**ირაკლი თავაძე**

ინტერვიუ კახა ალანიასთან

# მსოფლიოს ჩემპიონატზე ოპტიმალური შემადგენლობით

**საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებს წლეულს უმნიშვნელოვანეს ტურნირზე ასპარეზობა მოუწევს - ივნისის ბოლოს მოსკოვში მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ. მანამდე კი წინ არანაკლებ მნიშვნელოვანი ტურნირებია. ჩვენს გუნდს შანსი აქვს, ლონდონის შვიდკაცაზე მსოფლიოს სერიის შესარჩევი ტურნირი წარმატებით დასძლიოს და მომავალი სეზონიდან მსოფლიოს სერიის ყველა ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვოს. საამისოდ, საქართველოს ნაკრებმა ჯერ ჰონგკონგის შვიდკაცა რაგბის ტურნირზე იასპარეზა და ამოცანა შეასრულა - პირველ ოთხეულში შევიდა. განვლილ ტურნირსა და მომავლის გეგმებზე საქართველოს შვიდკაცა რაგბის მწვრთნელს კახა ალანიას ვესაუბრეთ.**


საქართველო-ბრაზილია

- ჰონგკონგის შვიდკაცა ტურნირი ერთა თასის გათამაშების შემდეგ დაიწყო, რამაც საშუალება მოგვცა, გუნდში ეროვნული ნაკრების მოთამაშეები მოგვეწვია. ირაკლი მაჩხანელი და თედო ზიბზიბაძე გამოცდილი მორაგბეები არიან, ლაშა ხმალაძე შვიდკაცა რაგბიში ბრწყინვალეა, ვიქტორ კოლელიშვილს დიდი ხანია შვიდკაცა არ უთამაშია, გუნდში გვყავდა საქართველოს 20 და 18-წლამდელ ნაკრებთა მოთამაშეებიც. ერთი სიტყვით, ტურნირზე თითქმის ახალი, მაგრამ გამოცდილი გუნდით ჩავედით.

**- ხომ არ იჩინა ამის გამო თავი შეუთამაშებლობის პრობლემამ?**

- თავიდან გაგვიმართლა - იამაიკის ნაკრებს შევხვდით. ეს გუნდი, სხვებთან შედარებით, სუსტია და თამაშის დალაგება ვცადეთ. მატჩამდე ვარჯიშებზე ვცდილობდით, შეტევისას მთელი მოედანი გამოგვეყენებინა და მასში მონაწილეობა მთელ გუნდს მიეღო. იგივე ვცადეთ უშუალოდ თამაშისას. თუმცა გამოჩნდა დაცვაში პრობლემები, რაც მომავალ შეხვედრებში უნდა გაგვეთვალისწინებინა.

**- მომდევნო მეტოქე ბრაზილიის ნაკრები იყო, რომელიც შვიდკაცა რაგბიში ახალი გუნდია და განსაკუთრებული წარმატებები არ აქვს. მაგრამ ამ გუნდის დამარცხება ვერ შეძელით...**

- ბრაზილიის ნაკრების თამაშის შესახებ არაფერი ვიცოდით. გვქონდა რამდენიმე მატჩის ვიდეოფირი, მაგრამ ჰონგკონგში სულ სხვა შემადგენლობა ჰყავდათ ჩამოყვანილი. ეტყობათ, რომ ოლიმპიადის მასპინძლები არიან და ამიტომაც, სპორტის ამ სახეობას დიდ ყურადღებას უთმობდნენ.

სამხრეთამერიკელებთან მატჩი კურიოზულად დასრულდა. შეხვედრაში მალე დავწინაურდით. დასაწყისშივე ორი ლელო გავუტანეთ, თუმცა მერე რიცხობრივ უმცირესობაში დავრჩით. ბრაზილიელებმა ამით შესანიშნავად ისარგებლეს და ანგარიშის გაქვითვა მოახერხეს. თამაშის დასრულებამდე 10 წამი რჩებოდა და 19:14-ს ვიგებდით. ბრაზილიელები დაჯარიმდნენ. ხმალაძემ ბურთი აუტში გადაიტანა და მალე თამაშის დასრულების აღმნიშვნელი სიგნალიც გაისმა. მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში, დერეფანში ბურთი უბრალოდ უნდა მოგვეგო და მატჩიც დასრულდებოდა. სამწუხაროდ, აუტის მოწოდებისას დავჯარიმდით. ბრაზილიელებმა ორწუთიანი შეტევა განახორციელეს და ლელო კიდესთან ახლოს გაგვიტანეს. ასე დავასრულეთ თითქმის მოგებული მატჩი ფრედ - 19:19.

**- ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩი იაპონიის ნაკრებთან, წესით, გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო...**

- არა, უკვე ვიცოდით, რომ მეოთხედფინალში როგორც საუკეთესო მესამეადგილოსანი ისე გავდიოდით. თანაც, ბრაზილიის ნაკრებთან ფრედ დასრულებულმა მატჩმა ცოტა აგვრია. თუმცა იაპონელებთან მატჩის დასაწყისი ცუდი არ იყო. თამაში ის იყო, დაიწყო, რომ ათ წამში ლელო გავიტანეთ. მერე არბიტრმა ისევ გაგვიძევა ერთი მოთამაშე და კვლავ უმცირესობაში მოგვიწია თამაში. დროის ამ მონაკვეთში იაპონელებმა ორი ლელო გაგვიტანეს და მოგვიგეს კიდეც.

**- მეოთხედფინალში მეტოქედ ისევ იაპონია გვერგო. ამჯერად ისე ჩანდა, რომ მეტოქეს მოგების შანსიც არ ჰქონდა...**

- ჯგუფური ტურნირის დასრულების შემდეგ გუნდი სასტუმროში შეიკრიბა. დავსხედით, დაველაპარაკეთ, ბიჭები საკუთარ თავზე იყვნენ გაბრაზებულნი. ამან კარგი შედეგი მოგვცა. მაქსიმალურად მობილიზება შევძელით და მეოთხედფინალში იაპონიის ნაკრებთან თითქმის უშეცდომოდ ვითამაშეთ.

ვერ ვიტყვი, რომ მეტოქეს ვჯაბნიდით. ორჯერ კონტრშეტევაზე დავიჭირეთ, ხოლო მესამე ლელო ძალიან კარგი გამოვიდა. იერიში საკუთარი 22-მეტრიანი ზონიდან დავიწყეთ და ბოლომდე ხელდახელ ბურთაობით მივიყვანეთ. ამ გამარჯვებით ნახევარფინალში გავედით, ანუ ოთხ საუკეთესო გუნდს შორის მოვხვდით, რითაც მსოფლიოს სერიის შესარჩევი ტურნირის დასკვნით ეტაპზე თამაშის უფლება მივიღეთ.

**- ნახევარფინალში ტონგას ნაკრებთან მატჩიც გავიხსენოთ...**

- მიუხედავად იმისა, რომ ტონგასთან დავმარცხდით, კუნძულელებმა ვერაფრით გვაჯობეს. სამწუხაროდ, მატჩის დასაწყისში ლელოს გატანის ორი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოვიყენეთ და პირველი ტაიმი ბოლო წამებზე წავაგეთ - 0:5. არადა, თამაშისთვის მაქსიმალურად მობილიზებულნი ვიყავით, ძალიან გვინდოდა ფინალში გასვლა. არ გაგვიმართლა.

**- ცნობილია, რომ მომდევნო და გადამწყვეტი ეტაპი ლონდონში გაიმართება. ვის შევხვდებით და როგორი სისტემით გამოვლინდება საუკეთესო სამეული?**

- ლონდონში რვა გუნდი ითამაშებს, რომლებიც ორ ჯგუფში განაწილდებიან. პირველ-მეორე ადგილებზე გასულები ნახევარფინალში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ტურნირის სამი საუკეთესო გუნდი ითამაშებს მომავალი სეზონიდან შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს სერიაში. მეტოქეები კი, სავარაუდოდ, რუსეთის, ტონგას, ზიმბაბვეს, პორტუგალიის, ესპანეთის, აშშ-ისა და შოტლანდიის ნაკრებები იქნებიან.

საკმაოდ დაძაბული ტურნირი გველის. ყველა ძალიან კარგი გუნდია და წარმატების მიღწევა ნებისმიერს შეუძლია.

**- როგორ გეგმავთ ამ ტურნირისთვის მზადებას და რა პრობლემების გადაჭრა მოუწევს საქართველოს ნაკრებს ამ ეტაპზე?**

- ვცდილობთ მაქსიმალურად მობილიზებული შევხვდეთ ტურნირის სტარტს. ისევე როგორც ჰონგკონგში, ახლაც გუნდს ეროვნული ნაკრების მოთამაშეები დაემატებიან. ტრავმები მოიშუშეს და ნაკრებს დაუბრუნდებიან მერაბ შარიქაძე და ირაკლი გეგენავა. ძალიან კარგი შანსი გვაქვს, შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს სერიის მონაწილე გავხდეთ, თანაც ყოველივე ეს განიხილება, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების ეტაპი.

**- ჰონგკონგში უშუალოდ საქმეში ნახეთ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი მეტოქეების, კანადისა და აშშ-ის ნაკრებების თამაში. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ამ გუნდებზე?**

- ძალიან ძლიერი გუნდები არიან. ისინი რეგულარულად ასპარეზობენ მსოფლიოს სერიის ეტაპებზე. ამ ორ გუნდს შორის უფრო სტაბილური კანადის ნაკრებია. თუმცა ახლახან, გასულ უქმეებზე, ტოკიოს შვიდკაცაზე აშშ-ის ნაკრებმა მეხუთე ადგილი დაიკავა, რაც ძალიან კარგი შედეგია.

ივნისი ქართული რაგბისთვის საკმაოდ დატვირთული თვეა. ჩვენმა ნაკრებმა ლიონში უნდა იასპარეზოს. მერე თბილისის პირველი საერთაშორისო ტურნირი იწყება, რომლის დასრულების შემდეგ ეროვნული ნაკრები არგენტინაში მიემგზავრება. ამიტომ, ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ივნისის ბოლოს, მსოფლიოს ჩემპიონატზე ოპტიმალური შემადგენლობის წაყვანა შევძლოთ.


ზურაბ ძნელაძე და ვიქტორ კოლელიშვილი

მსოფლიოს თასი 2015



# სერ ალექსი რაგბის წინააღმდეგ

იმ ქალაქებისა და სტადიონების სია, რომლებიც 2015 წელს, ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშების მატჩებს უმასპინძლებენ, აპრილის ბოლოს გაცხადდება. საორგანიზაციო კომიტეტი აქტიურად მუშაობს კანდიდატებთან, თუმცა უამრავ პრობლემას აწყდება.

ახლახან ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოს თასის მასპინძლობაზე უარი თქვა „ოლდ ტრაფორდმა", რომელზეც საფეხბურთო გუნდი „მანჩესტერ იუნაიტედი" ასპარეზობს. კულუარული ინფორმაციით, რაგბის მატჩებისთვის სტადიონის გამოყენებას ვეტო დაადო გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა**. ორგანიზატორებს ძალიან სურთ მანჩესტერი მასპინძელ ქალაქთა შორის დარჩეს და ამიტომ მოლაპარაკება ამ ქალაქის მეორე კლუბთან, „მანჩესტერ სიტისთან" დაიწყეს. მდგომარეობა აქ ბევრად უკეთესია. კლუბის ხელმძღვანელები გაგებით ეკიდებიან ორგანიზატორთა პრობლემებს და სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში მიაღწევენ შეთანხმებას.

ცუდი ის არის, რომ „სიტის" არენა - „იტიჰედ სთედიუმი" „ოლდ ტრაფორდთან" შედარებით 16 ათას მაყურებელზე ნაკლებს იტევს. მოლაპარაკება მიმდინარეობს ლონდონის ოლიმპიური სტადიონის მფლობელებთანაც. სავარაუდოდ, მასპინძელთა შორის ეს სტადიონიც იქნება. აღსანიშნავია, რომ ლონდონში მსოფლიოს თასის მატჩები კიდევ ორ არენაზე - „თვიქნემსა" და „უემბლიზე" გაიმართება.

**მასპინძლობის კანდიდატები**

1. **„თვიქნემი", ლონდონი - 82 000**
2. **„უემბლი", ლონდონი - 90 000**
3. **„მილენიუმი", კარდიფი - 74 500**
4. **„კინგსჰოლმი", გლოსტერი - 16 500**
5. **„კინგ პოვერ სთედიუმი", ლესტერი - 32 262**
6. **„ამექს სთედიუმი", ბრაიტონი - 27 350**
7. **„ვილა პარკი", ბირმინჰემი - 42 788**
8. **„ეშტონ გეიტი", ბრისტოლი - 21 487**
9. **„სთედიუმ ემკა", დერბი - 32 000**
10. **„სტ ჯეიმზ პარკი", ნიუკასლი - 52 387**
11. **„ელან როუდი", ლიდსი - 37 697**
12. **„იტიჰედ სთედიუმი", მანჩესტერი - 60 000**

ირლანდია



# ვერნ კოტერი სამყურების სათავეში

ირლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი ვაკანტურია და გასაკვირი არაა, რომ უმალვე შედგა სავარაუდო კანდიდატთა საკმაოდ გრძელი სია. ირლანდიურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ამ ქვეყნის რაგბის კავშირს „სამყურების" დამრიგებლად ახალზელანდიელი ვერნ კოტერის ხილვა სურს.

კოტერი ამჟამად ფრანგული კლუბის, **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონის" მთავარი მწვრთნელია. მისი ხელმძღვანელობით, კლუბმა თავის ისტორიაში პირველად მოიპოვა საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული (2011), წლევანდელ გათამაშებაში კი, ჯერჯერობით მეორე ადგილზეა. ამასთან ერთად, უახლოეს უქმეებზე „ვულკანები" „ჰაინეკენის თასის" გათამაშების მეოთხედფინალში „მონპელიეს" დაუპირისპირდებიან. შეგახსენებთ, რომ ვერნ კოტერი ახალი ზელანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელობის რეალური კანდიდატი იყო 2011 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ.

თავად კოტერი, ცხადია, არ ჩქარობს და ირლანდიის რაგბის კავშირს „ლენსტერის" დამრიგებლის **ჯო შმიდტის** კანდიდატურას ურჩევს, რომელთან ერთადაც „კლერმონში" მუშაობდა. ამ შეთავაზებას მხარი დაუჭირა ირლანდიის ნაკრების ყოფილმა მორაგბემ **ტონი უარდმა.**

პარალელურად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ირლანდიის ნაკრების მწვრთნელობაზე უარი განაცხადეს „ჰარლექვინზის" თავკაცმა **კონორ ოშიმ** და „სარასენზის" დამრიგებელმა **მარკ მიკოლიმ.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. იუბილარი

# ძიუდოისტი ჩემპიონის შვილი

## ტომი ჰაასი 35 წლის გახდა

**დოსიე**

**დაიბადა** 1978 წლის 3 აპრილს
**სიმაღლე:** 188 სმ. **წონა:** 88 კგ.
**პროფესიული კარიერის დასაწყისი:** 1996 წელი
**ჰონორარი კარიერაში:** $11 194 526
**მოგება/წაგება:** 514/289
**ტიტულების რაოდენობა:** 13
**უმაღლესი ადგილი რეიტინგში:** 2 (2002 წელი)
**ავსტრალიის ღია:** 1/2 ფინალი (1999, 2002, 2007)
**როლან გაროსი:** 1/8 ფინალი (2002, 2009)
**უიმბლდონი:** 1/2 ფინალი (2009)
**აშშ-ის ღია:** 1/4 ფინალი (2004, 2006, 2007)
**ოლიმპიადა:** ვერცხლის მედალი (2000)

თავისიუბილემდე ერთი კვირით ადრე, გერმანელმა ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი გამარჯვება მოიპოვა კარიერაში – მაიამის მასტერსის ნახევარფინალში მსოფლიოს პირველი ჩოგანი, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** დაამარცხა. თუმცა ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ის "დიდი ოთხეულის" მოთამაშეებს, მათ შორის, ჯოკოვიჩს უგებს.

ტომიმ ჩოგბურთის თამაში ოთხი წლის ასაკში დაიწყო. სპორტის ამ სახეობას ის მამამ – **პეტერ ჰაასმა** აზიარა, რომელიც თავად ძიუდოისტი იყო და ავსტრიის ნაკრებში ერთხელ ევროპის ჩემპიონატი მოიგო. ამ ვარსკვლავურ მომენტამდე რამდენიმე წლით ადრე, პეტერი ერთ სკოლაში სწავლობდა ჰოლივუდის მომავალ ვარსკვლავთან და კალიფორნიის გუბერნატორ **არნოლდ შვარცენეგერთან** ერთად. ამ ნაცნობობის წყალობით, ტომი 2004 წელს, გუბერნატორის სახლში მოხვდა ცნობილი ადამიანების სადილზე. სხვათა შორის, ამით ჰაასის კავშირი კინემატოგრაფთან არ ამოიწურება. ჩოგბურთელი დაქორწინებულია მსახიობ **სარა ფოსტერზე**, რომელმაც სახელი გაითქვა სერიალში "90210: ახალი თაობა" მონაწილეობით.

ჰაასი ბავშვობასა და იუნიორის ასაკში ჰოლივუდიდან შორს ცხოვრობდა – ქვეყნის მეორე ბოლოში, ფლორიდაში, სადაც **ნიკ ბოლეტიერის** აკადემიაში მუშაობდა. ბოლეტიერი აღფრთოვანებული იყო ახალგაზრდა კაცით. ამის წყალობით ტომი აკადემიაში დარჩა და უფასოდ ვარჯიშობდა. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ის ბრწყინავდა იუნიორთა დონეზე – შესაბამის რეიტინგში ერთხელაც არ შესულა პირველ ათეულში. სამწუხაროდ, ამის მიზეზი ტრავმებიც იყო. 1995 წლის დეკემბერში მან მარჯვენა კოჭი მოიტეხა, 1996 წლის დეკემბერში – მარცხენა. ორივე შემთხვევაში ოპერაციის ჩატარება დასჭირდა.

1997 წლის სეზონისთვის ტომიმ მოასწრო გამოჯანმრთელება და "დიდების" დონეზე წარმატებების მიღწევა დაიწყო. 1997 და 1998 წლებში მან ლიონის ტურნირის ფინალში ორჯერ ითამაშა, მაგრამ ორივე წააგო. სადებიუტო ტიტული გერმანელმა 1999 წელს, მემფისში მოიპოვა. იმავე სეზონში, კიდევ სამი ფინალი ითამაშა, მაგრამ სამივე დათმო. ასევე უნდა აღინიშნოს პირველი ხმაურიანი წარმატება "დიდ სლემზე" – 1999 წელს, ავსტრალიის ღიაზე ნახევარფინალში გავიდა. თავდაპირველად ტომი ძალიან ცუდად თამაშობდა გადამწყვეტ მატჩებში – ცხრა ფინალიდან მხოლოდ ერთში მიაღწია წარმატებას. რეალურად, გერმანელმა საყოველთაო ყურადღება 2000 წლის სექტემბერში მიიქცია, როცა სიდნეის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. მან ხუთსეტიანი ფინალი წააგო რუს **ევგენი კაფელნიკოვთან.**

ტომი უკვე მაშინ მიიჩნეოდა ავტორიტეტთა რისხვად. მართალია, იმ დროისთვის მას კვლავ მხოლოდ ერთი ტიტული ჰქონდა მოპოვებული, მაგრამ დამარცხებული ჰყავდა **ანდრე აგასი, პიტ სამპრასი, გუსტავო კუერტენი, მარსელო რიოსი...** დადებითი ბალანსი ჰქონდა **ენდი როდიკთან, როჯერ ფედერერთან, მარატ საფინთან** და **ჯიმი კურიესთან** ურთიერთშეხვედრებში. მოკლედ, გერმანელის კარიერა პროგრესისკენ მიდიოდა: ფინალებში დასანანი წაგებების შემდეგ, 2001 წელს ოთხი ტიტული მოიპოვა და რეიტინგში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. სამწუხაროდ, მომდევნო სეზონმა მას მხოლოდ იმედგაცრუებები მოუტანა. მისი მშობლები მძიმე ავტოავარიაში დაზარალდნენ, მამამისი კი კომაში ჩავარდა. ტომის ჩოგბურთის მიტოვებამ და მშობლებზე ზრუნვამ მოუწია. ხოლო კორტზე დაბრუნებისთანავე სერიოზულად დაიზიანა მხარი და ისევ დასჭირდა ოპერაცია. გარდა ამისა, ჰაასს სხვა რამდენიმე ტრავმაც აწუხებდა. ის ტურში სრულფასოვნად მხოლოდ 2004 წელს დაბრუნდა.

მას ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდა და იმ პერიოდში ჰიუსტონსა და ლოს ანჯელესში გამარჯვებებმა დამაჯერებლობა შესძინა. 2006 წელს ჰაასმა სამი ტიტული მოიპოვა, სერიოზულად მოუმატა რეიტინგში და ამერიკის ღიაზე მეოთხედფინალამდე მიაღწია. ის ნახევარფინალთანაც ახლოს იყო, როცა სეტებში 2:0-ს უგებდა **ნიკოლაი დავიდენკოს,** მაგრამ დაღლილობის გამო ვერ მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე. ავსტრალიის ღიაზე ნახევარფინალმა მას 2002 წლის შემდეგ პირველად მოუტანა ადგილი რეიტინგის TOP10-ში. ხოლო უიმბლდონზე კარიერაში პირველად მიაღწია მეოთხედფინალს. მაგრამ იქ ტომის ტრავმამ შეუშალა ხელი – მუცლის კუნთის დაზიანების გამო ფედერერის წინააღმდეგ სათამაშოდ გასვლა ვერ შეძლო. 2007 წლის ნოემბერში, ჰაასმა კიდევ ერთი ოპერაცია გადაიტანა მხარზე.

უკვე ასაკში შესულ გერმანელს გაუჭირდა ხელმეორედ დიდ ჩოგბურთში დაბრუნება. თან ტომის არ ჰყავდა კარგი გუნდი და არ ჰქონდა ზუსტი გრაფიკი. ის ბევრს მოგზაურობდა და თამაშობდა, მაგრამ, ძირითადად, ადრეულ ეტაპებზე აგებდა. განსაკუთრებით უჭირდა გრძელი და დაძაბული მატჩების ჩატარება. გერმანელმა პაუზის აღება გადაწყვიტა და მეუღლესთან ერთად ბაჰამის კუნძულებზე გაემგზავრა. საჭირო დასვენების შემდეგ, ჰაასი მომძლავრდა და თავის ყოფილ მწვრთნელს **ტომას ჰოგსტედტს** დაუბრუნდა. 2009 წელს, ტომის ისევ შეექმნა პრობლემები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით: ამჯერად, მიზეზი იდაყვის ტრავმა იყო. მორიგი დაბრუნება ჰალეს ტურნირზე გამარჯვებით აღინიშნა, როცა გერმანელმა ფინალში დაამარცხა ჯოკოვიჩი. ორი კვირის შემდეგ კი უიმბლდონზე ნახევარფინალში გავიდა...

სამწუხაროდ, ამ წარმატებას მოჰყვა მორიგი შავი სერია. ტრავმირებულ მხარს დაემატა ბარძაყის პრობლემები, რის გამოც, თითქმის მთელი სეზონის გამოტოვებამ მოუწია. მხოლოდ 2012 წლის სეზონში დაბრუნდა ჰაასი ტურში სრულფასოვნად და იმავე ჰალეში მოიპოვა ტრიუმფალური გამარჯვება, თან ფინალში სენსაციურად დაამარცხა ბალახის კორტების სპეციალისტი ფედერერი. გერმანელმა ფინალამდე მიაღწია ჰამბურგსა და ვაშინგტონში და სეზონი 21-ე ადგილზე დაასრულა. წელს კი იყო ფინალი სან ხოსეში და ნახევარფინალი მაიამიში. მასტერსზე მას 2006 წლის შემდეგ არ ეთამაშა ამ სტადიაზე.

2010 წლის ნოემბერში, ტომისა და ფოსტერს გაუჩნდათ ქალიშვილი – **ვალენტინა. "მინდა გავაგრძელო თამაში, რათა ჩემმა ქალიშვილმა პროფესიულ მატჩში მიხილოს კორტზე"**, - ამბობდა მაშინ ჰაასი. მისი ოცნება ამასწინ, მაიამის ტურნირზე ახდა.

*"წინ შორს არ ვიხედები და მრავალწლიან გეგმებს არ ვაწყობ. ჩემი შემდეგი ტურნირი ჰიუსტონში იქნება. მინდა კარგად მოვემზადო გრუნტის სეზონისთვის და ასევე მინდა წარმატებით გამოვიდე დიდ ტურნირებზე". ვაპირებ თუ არა ამ სეზონის შემდეგ კარიერის დასრულებას? არა"*, - ამბობს ტომი ჰაასი.



ჩოგბურთი



მოქმედი ჩემპიონი ასტანაში

# დღეს დევისი იწყება

დღეს, დევისის თასზე იწყება მეოთხედფინალური ეტაპი, გუშინ კი გაიმართა ტრადიციული წილისყრა და გაირკვა ოთხივე მატჩში ჩოგბურთელთა მოედანზე გასვლის განრიგი.

**აშშ–სერბეთი**

(ბოისი. ჰარდი)

**პარასკევი**

ჯონ ისნერი-ნოვაკ ჯოკოვიჩი
სემ კუერი-ვიქტორ ტროიცკი

**შაბათი**

ბ. ბრაიანი/მ. ბრაიანი-
ბოჟოლიაკი/ზიმონჟიჩი

**კვირა**

სემ კუერი-ნოვაკ ჯოკოვიჩი
ჯონ ისნერი-ვიქტორ ტროიცკი

**არგენტინა–საფრანგეთი**

(ბუენოს აირესი. გრუნტი)

**პარასკევი**

კარლოს ბერლოკი-
ჟო ვილფრიდ ცონგა
ხუან მონაკო-ჟილ სიმონი

**შაბათი**

ნალბანდიანი/სებალიოსი-
ბენეტო/ლოდრა

**კვირა**

ხუან მონაკო-ჟო ვილფრიდ ცონგა
კარლოს ბერლოკი-ჟილ სიმონი

**ყაზახეთი–ჩეხეთი**

(ასტანა. გრუნტი)

**პარასკევი**

მიხაილ კუკუშკინი-იან ჰაიეკი
ანდრეი გოლუბევი-ლუკაშ როსოლი

**შაბათი**

კოროლიოვი/შჩუკინი-
მინარი/შტეპანეკი

**კვირა**

მიხაილ კუკუშკინი-ლუკაშ როსოლი
ანდრეი გოლუბევი-იან ჰაიეკი

კიდევ ერთ წყვილში კანადის ნაკრები საკუთარ მოედანზე მიიღებს იტალიის ნაკრებს. აქ წილისყრა გვიან ღამით გაიმართა.

# შვებულება ალბენაში

რუსიმარია შარაპოვა და ბულგარელი **გრიგორ დიმიტროვი,** რომლებსაც, დაუდასტურებელი ინფორმაციით, რომანი აქვთ გაჩაღებული, ორკვირიანი შვებულების გატარებას აპირებენ ბულგარეთის კურორტ ალბენაში.

იტყობინებიან, რომ ჩოგბურთელებმა ერთ-ერთ ადგილობრივ სასტუმროში დაჯავშნეს საპრეზიდენტო ლუქსი, რომელსაც მთელი სართული უკავია. სხვა კომფორტთან ერთად, იქ მათ განკარგულებაში იქნება პირადი მზარეული. შვებულების სავარაუდო თარიღის შესახებ არაფერია ცნობილი.

დავამატებთ, რომ 25 წლის შარაპოვას თვის ბოლოს უწევს ტიტულის დაცვა შტუტგარტში, 21 წლის დიმიტროვი კი მონაწილეობას მიიღებს მონტე კარლოს მასტერსში, რომელიც 15 აპრილს აიღებს სტარტს.



მარია და გრიგორი მილანში

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი–პიტსბურგი 6:1**

3:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ბ. ბოილი-2 (ბ. რიჩარდსი-15, ბრასარი-1), 2:0 მაკდონაჰი-3 (ბ. რიჩარდსი-16, ქლოუ-12), 3:0 ქლოუ-1 (სტეპანი-16), 4:0 ბრასარი-1 (ბ. ბოილი-2, ჟირარდი-11), 4:1 დუპუი-18 (ბორტუცო-2, მოროუ-6), 5:1 ქლოუ-2 (ბრასარი-2, ბ. ბოილი-3), 6:1 ჯ. მური-1 (ბ. ბოილი-4, ბრასარი-3).

**ფილადელფია–მონრეალი 5:3**

0:1, 2:2, 3:0

**გოლები:** 0:1 ემელინი-3 (პასიორეტი-18, დეშარნე-13), 1:1 კუტურიე-3 (ფედოტენკო-8, საიმონ განიე-7), 2:1 საიმონ განიე-3 (ლაურიდსენი-1, ლ. შენი-6), 2:2 პრუსტი-5 (პალპერნი-2, გალჩენიუკი-13), 2:3 დეშარნე-9 (ემელინი-9, პასიორეტი-19), 3:3 სიმონდსი-12 (ჟერვე-5, ტიმონენი-20), 4:3 რიდი-10 (გუსტაფსონი-3, ჟირუ-25), 5:3 ვორაჩეკი-15 (რიდი-9).

**კალგარი–ედმონტონი 2:8**

2:2, 0:3, 0:3

**გოლები:** 1:0 სტაიანი-4 (ვიდემანი-15), 2:0 სტაიანი-5 (გლენკროსი-9, სტემპნიაკი-17), 2:1 სემ განიე-14 (პეტრი-6, პეტრელი-6), 2:2 რ. უიტნი-4 (ტ. ჰოლი-25, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-17), 2:3 იაკუპოვი-8 (სემ განიე-19, რ. უიტნი-9), 2:4 ტ. ჰოლი-13 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-18, შულცი-14), 2:5 ნიუჯენტ-ჰოპკინსი-3 (ტ. ჰოლი-26, ჰემსკი-11), 2:6 ებერლე-11 (ტ. ჰოლი-27, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-19), 2:7 ებერლე-12 (ტ. ჰოლი-28), 2:8 იაკუპოვი-9 (რ. სმიტი-7).

**ანაჰაიმი–დალასი 5:2**

1:0, 2:0, 2:2

**გოლები:** 1:0 ღვორაკი-1 (გეტცლაფი-29, ვინიკი-12), 2:0 სელიანე-10 (გეტცლაფი-30, ფაულერი-7), 3:0 პალმიერი-8 (ჰოლანდი-2, ბელესკი-3), 3:1 კოული-7 (ფიდლერი-6, გოლიგოსკი-19), 4:1 გეტცლაფი-13 (პერი-18, რაიანი-18), 4:2 მაკდერმიდი-1 (გარბუტი-3), 5:2 კოლიანო-11 (ს. კოივუ-16, სურეი-7).

**სან ხოსე–მინესოტა 4:2**

2:0, 1:2, 1:0

**გოლები:** 1:0 პავლატი-5 (ჯ. ტორნტონი-28, ბერნსი-6), 2:0 დ. ბოილი-6, 2:1 კოილი-5 (პარიზე-16, ბროდინი-7), 2:2 ჰიტლი-11 (ფოლკი-3), 3:2 ჯ. ტორნტონი-7 (ბერნსი-7), 4:2 გალიარდი-2 (პავლატი-8, გომესი-10).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი

# ცურვა შეიძლება


ლენს არმსტრონგი

დოპინგის მიღებისთვის სამუდამოდ დისკვალიფიცირებული ყოფილი ამერიკელი ველომრბოლი **ლენს არმსტრონგი** ცურვის ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ამის შესახებ იტყობინება სააგენტო AP.

არმსტრონგმა განაცხადი შეიტანა ტურნირზე, რომელსაც არაკომერციული ორგანიზაცია - U.S. Masters Swimming ატარებს. შეჯიბრების მონაწილეებზე არ ვრცელდება აშშ-ის ანტისადოპინგო სააგენტოს წესები, რომელიც უკრძალავს არმსტრონგს ოფიციალურ ტურნირებში გამოსვლას.

41 წლის ამერიკელი თავის ასაკობრივ ჯგუფში (40-დან 44 წლამდე) მიიღებს მონაწილეობას. ყოფილი ველომრბოლი სამ დისტანციაზე გამოვა: 500, 1000 და 1650 მეტრზე.

ველოსპორტიდან წასვლის შემდეგ, არმსტრონგი ხშირად გამოდიოდა ტრიატლონში, რომელიც აერთიანებს ცურვას, ველოსპორტსა და სირბილს. გარდა ამისა, ლენსი მარათონულ გარბენებში მონაწილეობდა.

მძლეოსნობა

# მკვლელმა ვარჯიში დაიწყო

თავისი შეყვარებულის მკვლელობაში დადანაშაულებული ამპუტანტი მორბენალი **ოსკარ პისტორიუსი** 14 თებერვლის ინციდენტის შემდეგ პირველად შენიშნეს სარბენ ბილიკზე. მძლეოსნის ფოტო გამოქვეყნებულია სამხრეთაფრიკული გაზეთის - „ბელდის" პირველ გვერდზე. სურათი მარტის ბოლოს გადაიღო სკოლის მოსწავლემ, რომელმაც შემთხვევით ჩაიარა იმ მოედნის გვერდით, სადაც, ჩვეულებრივ პისტორიუსი ვარჯიშობს.

თავის მხრივ, ოსკარის ბიძამ - **არნოლდმა** განაცხადა, რომ პისტორიუსს არ დაუწყია ვარჯიში თავის მწვრთნელთან ერთად და მხოლოდ დროდადრო გადის სარბენ ბილიკზე. ხოლო სამხრეთაფრიკელი პარალიმპიელის აგენტმა **პიტ ვან ზილმა** თქვა, რომ ფოტოს გადაღების დღეს, პისტორიუსმა მართლაც პირველაც ჩაიცვა თავისი სარბენი პროთეზები.

შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოსკარ პისტორიუსი მზადებას იწყებს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც წელს მოსკოვში გაიმართება.

კრივი

# პაკიაოს ამერიკა არ უნდა


ბობ არუმი

პროფესიული კრივის სამყაროში კვლავაც აქტუალურია ფილიპინელი **მენი პაკიაოსა** და მექსიკელი **ხუან მანუელ მარკესის** თემა, უფრო ზუსტად, ამ მოკრივეებს შორის რიგით მეხუთე შეხვედრის ჩატარება.

პაკიაოსა და მარკესის წინა ოთხი შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე გაიმართა, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ეს ტრადიცია დაირღვევა და ბრძოლა, სავარაუდოდ, აზიის ტერიტორიაზე ჩატარდება.

*„ბრძოლა ნამდვილად სექტემბერში შედგება. მეტოქისა და ჩატარების ადგილზე 13 მაისს დანიშნული არჩევნების შემდეგ დავილაპარაკებთ. მენის მაღალი გადასახადების გამო არ სურს აშშ-ში ჩხუბი. ბრძოლის ორგანიზების ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად სინგაპური მიიჩნევა. ასევე განიხილება მაკაოსა და დუბაის ვარიანტი"*, - განაცხადა პაკიაოს წარმომადგენელმა **როსე ტამაიომ.**

ალვნიშნავთ, რომ მარკესი ჯერ არ დასახელებულა პაკიაოს შემდეგ მეტოქედ, მაგრამ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მენის პრომოუტერი **ბობ არუმი** აპირებს ლეგენდარული მოკრივეების რიგით მეხუთე შეხვედრის ორგანიზებას.

ფორმულა 1

# ტესტები უნდა გაიზარდოს

ფორმულა 1-ის გუნდები მოლაპარაკებას აპირებენ 2014 წლის სეზონისთვის დამატებითი ტესტების ორგანიზების თაობაზე, რათა მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ ახალი ძრავის - 1.6-ლიტრიანი V6-ის გამოსაცდელად.

ჩემპიონატის მონაწილეებს ზამთრის სატესტო სესიის დაწყების ვადის უფრო ადრე გადაწევა სურდათ, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ აღმოჩნდა, ამიტომაც წარმოიშვა წინადადება - ჩატარდეს დამატებითი, მეოთხე სესია.

*„დამატებითი სატესტო სერიის ჩატარება - საკმაოდ მომხიბვლელი წინადადებაა და ჩვენ მას მხარს ვუჭერთ*, - ამბობს „რენოს" სპორტული განყოფილების დირექტორი **რობ უაიტი**. *- ჯერ არ ვიცი, როგორი იქნება მისი ფორმატი და სად ჩატარდება, მაგრამ მთავარია, რომ გუნდებს ახალ ტექნიკურ რეგლამენტთან შესაგუებლად მეტი დრო ექნებათ".*

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| რექსჰემი-მენსფილდი | 2:1 |
| **დანია** | |
| ოლბორგი-ნორდსილანდი | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ოლბორგი-ვიბორგი | 0:1 |
| ლუნგბიუ-კიოგე | 2:1 |
| ჰობრო-ვეილე | 1:2 |
| ბრონშოი-ნიორინგი | 0:0 |
| **შვედეთის თასი** | |
| ნორჩოპინგი-იურგორდენი | 0:0 პენ. 4:5 |
| ოსტერსი-სირიუსი | 2:1 |
| **სერბეთი** | |
| სლოგოდა-პარტიზანი | 0:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ჟალგირისი-ბამბერგი | 90:81 |
| ბარსელონა-მაკაბი | 74:71 |
| კახა ლაბორალი-მონტეპასკი | 76:64 |
| ოლიმპიაკოსი-ხიმკი | 79:70 |
| პანათინაიკოსი-ცსკა | 63:69 |
| რეალი-ეფესი | 86:66 |
| უნიკახა-ალბა | 55:68 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| აკ ბარსი-ტრაქტორი | 1:2 |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-ვოლერენგა | 4:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-ზლინი | 3:4 |
| **შვეიცარია** | |
| ფრიბურგი-ბერნი | 1:4 |
| **შვედეთი** | |
| ლულეო-ფერიესტადი | 3:2 (ო) |

| ხელბურთი | |
|---|---|
| **ევრ. ჩემპიონატი** | |
| **შესარჩევი** | |
| შვეიცარია-პორტუგალია | 26:26 |
| ჩეხეთი-გერმანია | 24:22 |
| უნგრეთი-ხორვატია | 20:18 |
| შვედეთი-პოლონეთი | 28:21 |
| ბოსნია-რუსეთი | 23:32 |

TV პროგრამა

**5 აპრილი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ტოტენჰემი-ბაზელი.
**12:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ბენფიკა-ნიუკასლი.
**14:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ჩელსი-რუბინი.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტური. ფულემი-ქუინზ პარკი.
**18:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
**18:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ბაიერნი-ჰამბურგი.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ჰოფენჰაიმი-ფორტუნა (LIVE).
**00:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIX ტური. ფეიენოორდი-ვენლო.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-სტოკი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-სან ანტონიო.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ფიურტი-აინტრახტი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ლესტერი-ტულუზა.
**19:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები. მსოფლიო ჩემპიონატი. 1966 წელი. I ნაწილი.
**20:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ჩიკაგო ბულზი. 1991-92 წელი.
**21:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIX ტური. ფეიენოორდი-ვენლო (LIVE).
**00:00** NBA ACTION.
**01:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-სან ანტონიო.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**13:30** სპორტ-NEWS.
**14:00** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**14:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**16:30** სპორტ-NEWS.
**17:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ.
**19:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლივლენდი-დენვერი.
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.

ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 10 | 24 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 15 | 21 | (წვიმა) |
| ბათუმი | 10 | 17 | (წვიმა) |
| ფოთი | 11 | 18 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 12 | 19 | (წვიმა) |
| გორი | 12 | 22 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 9 | 26 | (მზე) |
| სიღნაღი | 8 | 23 | (მზე) |
| გუდაური | 3 | 14 | (მზე) |
| ბაკურიანი | 4 | 16 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 5 | 20 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 5 | 15 | (წვიმა) |

ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1206 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6557 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.4938 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2197 |

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# გარნეტი ბრუნდება, პილი მიდის, ბოშს ძარცვავენ

„ბოსტონ სელტიქსის" ვეტერანი ფორვარდი **კევინ გარნეტი**, რომელმაც კოჭის ტრავმის გამო სამი კვირა გამოტოვა, მზად არის სათამაშოდ. დღეს, „კელტები" „კლივლენდს" უნდა შეხვდნენ და გუნდის მთავარი მწვრთნელი **დოკ რივერსი** უშუალოდ მატჩის წინ მიიღებს გადაწყვეტილებას გარნეტის მოედანზე გაყვანის შესახებ.

■ ■ ■

„მაიამი ჰიტის" ფორვარდი **კრის ბოში** მძარცველების მსხვერპლი გახდა. მას მოჰპარეს 340 ათასი დოლარის ოდენობის ძვირფასეულობა", - იტყობინება Sportando. გატაცებულ ნივთებს შორის არის ძვირფასი საათი და სამკაულები.

■ ■ ■

ლეგენდარულ **გრანტ ჰილს**, რომელიც ამჟამად „ლოს ანჯელეს კლიპერსის" ღირსებას იცავს, ამ სეზონის შემდეგ სურს კარიერის დასრულება. 40 წლის ფორვარდმა, ვისაც, თავის დროზე, **მაიკლ ჯორდანის** მემკვიდრედ მიიჩნევდნენ, ამ რეგულარულში მხოლოდ 27 მატჩი ჩაატარა. ჰილს კალიფორნიულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ შეიძლება მისი ვადის ამოწურვას არ დაელოდოს.

*„შანსი მაღალია. მე აქეთკენ ვიხრები. მინდა დავასრულო სეზონი და ვიფიქრო ამაზე"*, - თქვა ჰილმა.

**ტორონტო-ვაშინგტონი 88:78**

23:24, 16:26, 29:12, 20:16

ტ: დეროზანი (25), ვალანჩუნასი (24+10 მოხსნა), ლოური (9+8 მოხსნა+13 პასი).
ვ: უოლი (20+5 მოხსნა+5 პასი), ოკაფორი (17+8 მოხსნა), ნენე (12+5 მოხსნა).

**შარლოტი-ფილადელფია 88:83**

19:27, 21:18, 24:16, 24:22

შ: ჰენდერსონი (24), უოკერი (17+5 მოხსნა+10 პასი+5 ჩაჭრა), მაკრობერტსი (12+16 მოხსნა), უილიამსი (12), ბიიომბო (4+11 მოხსნა+3 დაფარება).
ფ: უილკინსი (20+9 მოხსნა), ტერნერი (14+6 მოხსნა), რაიტი (14), ჰოიესი (12+7 მოხსნა).

**ატლანტა-ნიუ იორკი 82:95**

18:23, 22:24, 28:21, 14:27

ა: კორვერი (25+6 მოხსნა), ტიგი (15+9 პასი), სმიტი (10+8 მოხსნა+5 პასი).
ნ-ი: ენტონი (40+5 მოხსნა), სმიტი (19), ფელტონი (14+5 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**კლივლენდი-ბრუკლინი 95:113**

20:28, 16:38, 32:29, 27:18

კ: ირვინგი (16+6 პასი), სპეიტსი (16+10 მოხსნა), ზელერი (14), მაილზი (11).
ბ: ბრუქსი (27+7 პასი), უილიამსი (24+8 პასი), ლოპესი (14+6 მოხსნა), უოტსონი (12+7 პასი), ბლეტჩი (11), ევანსი (8+18 მოხსნა).

**ბოსტონი-დეტროიტი 98:93**

25:30, 29:14, 20:23, 24:26

ბ: გრინი (34+6 მოხსნა+4 დაფარება), ბასი (17+7 მოხსნა+3 დაფარება), პირსი (17+5 პასი), ბრედლი (11), ტერი (10+5 მოხსნა).
დ: მონროო (24+17 მოხსნა), სტაკი (22), ჟერებკო (19+5 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**მილუოკი-მინესოტა 98:107**

23:34, 29:21, 29:32, 17:20

მილ: ილიასოვა (29+12 მოხსნა), ელისი (18+5 მოხსნა), დანლივი (15), ჯენინგსი (13+8 პასი+3 ჩაჭრა), სანდერსი (11+10 მოხსნა).
მინ: პეკოვიჩი (27+8 მოხსნა), რუბიო (19+12 პასი+8 ჩაჭრა), უილიამსი (15+6 მოხსნა), რიდნური (13), კირილენკო (12).

**სან ანტონიო-ორლანდო 98:84**

28:23, 23:23, 22:19, 25:19

ს-ა: გრინი (20), ნილი (16+8 მოხსნა), სპლიტერი (10+9 მოხსნა).
ო: ჰარკლესი (18+9 მოხსნა), ვუჩევიჩი (16+14 მოხსნა), უდრიხი (14+8 პასი), ჯონსი (12), ჰარისი (11+7 მოხსნა+5 პასი+3 დაფარება).

**იუტა-დენვერი 96:113**

23:28, 28:28, 17:25, 28:32

ი: ჰეივორდი (18), ჯეფერსონი (16+9 მოხსნა), მილსეპი (16), მარვ. უილიამსი (10).
დ: გალინარი (21+4 მოხსნა), ფარიდი (19+8 მოხსნა), ფურნიე (18), ბრიუერი (14), მილერი (13+6 პასი), იგუოდალა (10+6 პასი), ჩენდლერი (10), კუფოსი (2+13 მოხსნა).


კევინ გარნეტი

**საკრამენტო-ჰიუსტონი 102:112**

26:27, 29:32, 28:29, 19:24

ს: ევანსი (22+4 ჩაჭრა), ტორნტონი (21), კაზინსი (20+6 მოხსნა), ტომპსონი (17+15 მოხსნა), ტომასი (12+5 პასი).
ჰ: პარსონსი (29+5 მოხსნა), ჰარდენი (21+7 მოხსნა+9 პასი), აშიქი (19+10 მოხსნა), ლინი (15+10 პასი), ჯონსი (14+12 მოხსნა).

**პორტლენდი-მემფისი 76:94**

21:32, 25:25, 18:20, 12:17

პ: ჰიქსონი (17+9 მოხსნა), ლილარდი (17+6 პასი), მეტიუზი (12), ლეონარდი (10+7 მოხსნა), მეინორი (2+10 პასი).
მ: კონლი (20+5 პასი), რენდოლფი (17+8 მოხსნა), ალენი (14+5 ჩაჭრა), დევისი (12+10 მოხსნა), პონდექსტერი (10).

**კლიპერსი-ფინიქსი 126:101**

29:19, 28:31, 38:20, 31:31

კ: ჯორდანი (20+12 მოხსნა), ბლედსოუ (17+7 პასი), პოლი (15+12 პასი+4 ჩაჭრა), ბატლერი (15), გრინი (15), კროუფორდი (13).
ფ: ჯონსონი (20), ო'ნილი (18+8 მოხსნა), დადლი (15), ბიზლი (13), დრაგიჩი (12), სკოლა (10+11 მოხსნა).

**გ. სტეიტი-ნიუ ორლეანი 98:88**

19:28, 32:14, 23:28, 24:18

გ-ს: ლი (23+16 მოხსნა), კარი (20+9 პასი), ჯეკი (19+8 პასი), ბარნსი (10).
ნ-ო: გორდონი (21+5 მოხსნა), ლოპესი (17+7 მოხსნა), ვასკესი (15+9 პასი), ამინუ (14+5 მოხსნა+3 ჩაჭრა).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბესიკი!..

4


3


1


რუბრიკა „ტაიმლაინში“ ქვეგანყოფილებად „ფოტოპარალელი“ არაერთხელ გამოვაქვეყნეთ. თუ გახსოვთ, თორნიკე და კახა შენგელიების თითქმის ერთნაირი სურათები დავბეჭდეთ. ეს ამბავი გუშინ გამახსენდა, როცა ორი დიდი ფეხბურთელის, ფრანც ბეკენბაუერისა და იოჰან კრუიფის ფირზე აღბეჭდილი სინქრონული მოძრაობა ვნახე. ასეთ სიტუაციაში ხომ მეორე დიდი დუეტი - დავით ყიფიანი და ალექსანდრე ჩივაძეც არიან გადაღებულნი (1).

ისიც გამახსენდა, რომ ასეთი „პარალელური“ ფოტოები კიდევ უამრავი მაქვს მოგროვებულ და ვფიქრობ, მათი „შეწებებისა“ და საჯაროდ გამოტანის დროა.

**2.** დააკვირდით კრიშტიანო რონალდოსა და ქართველი მოცეკვავის შეტყუპებულ სურათებს. მართალია, მათ შორის მსგავსება არ არის, მაგრამ ერთმანეთის გვერდით იმდენად ბუნებრივად „გრძნობენ თავს“, თითქოს რონალდოს „ცეკვა ქართულში“ ჭიპი ჰქონდეს მოჭრილი. რეალელს, აბა, ბარსელონელი როგორ ჩამორჩებოდა - დანი ალვეშმა მეტოქის კართან ისეთი ტრიალი შეასრულა, მთიულურის გამოცდილ მოცეკვავესაც შეშურდებოდა.

**3.** იანვარში გამოვაქვეყნეთ რამდენიმე სპორტსმენისა და მათი ორეულების ფოტოები. მას მერე ერთი საოცარი მსგავსება აღმოვაჩინეთ: განსჯა თქვენთვის მოგვინდია, რომელია იტალიელი კალათბურთელი ლუიჯი დატომე და რომელი - ქართველი მიხეილ ანდღულაძე.

**4.** ვიოლინომომარჯვებულ კაცს დააკვირდით, რომელიც ერთი შეხედვით შესაძლოა ლებრონ ჯეიმსს მიამსგავსოთ... კიდევ უფრო დააკვირდით - მართლაც ჯეიმსია, რომელიც უთუოდ გამოიწვევს ასოციაციას ბესიკთან. ხომ გახსოვთ, ფილმი „ფეოლა“, რომელშიც იპოლიტე ხვიჩიას დაძახებაზე აივნიდან ულვაშიანი ბესიკი რომ გადმოდგება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

2





დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 01:55
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**